შირაქი

SHIRAKI

№49-50 (10.155)

31 დეკემბერი 2024 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ყოველკვირეული გამოცემა

ფასი: 60 თეთრი

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს.

2024 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დასრულდა არაერთი მასშტაბური პროექტის მშენებლობა. მათ შორისაა ჩვენი საამაყო ორგზის ოლიმპიელის, ლაშა ბექაურის სახელობის სპორტული კომპლექსი, სადაც ყოველდღიურად 6 სოფლის 120 ახალგაზრდა საუკეთესო პირობებში ვარჯიშობს. დარწმუნებული ვარ, ამ დარბაზში კიდევ ბევრი ჩემპიონი გაიზრდება, რომელიც საზღვრებს გარეთ სიამაყით ააფრიალებს ჩვენს დროშას. რადგან სპორტულ ინფრასტრუქტურას შევეხე, გეტყვით, რომ აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში კიკბოქსინგის დარბაზის სამშენებლო სამუშაოებიც. მშენებლობის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი მიზიდულობის კერა გაჩნდება, სადაც ჩვენი წარმატებული კიკბოქსინგელები საუკეთესო პირობებში შეძლებენ ვარჯიშს. აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში იგეგმება უშუ სანდას დარბაზის რეაბილიტაცია. სპორტის ამ სახეობას დედოფლისწყაროში ბევრი მიმდევარი ჰყავს. შესაბამისად, აღნიშნული პროექტიც ძალიან ბევრ თქვენგანს გაახარებს. კიდევ ერთი გრანდიოზული პროექტი დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკია, რომელიც კახეთის რეგიონში, თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა და დედოფლისწყაროელებისთვის და ჩვენი მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის საუკეთესო დასასვენებელ სივრცეს წარმოადგენს. 2024 წელს ასევე დასრულდა სოფელ ოზაანის ახალი სკოლის მშენებლობა, სადაც სასწავლო პროცესი უახლოეს პერიოდში დაიწყება. ოზაანის სკოლა არის კიდევ ერთი ნათელი დასტური იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება პირნათლად ასრულებს მოსახლეობისთვის მიცემულ ყველა დაპირებას. აქვე გეტყვით, რომ აქტიური ტემპებით შენდება ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა. ბევრი ჩვენგანისთვის მშობლიური და საყვარელი სკოლა ისტორიის წერას მალე ახალ კედლებში გააგრძელებს. ახალი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ ზემო ქედშიც, მშენებლობის დასრულების შემდეგ სოფლის ორივე საჯარო სკოლა იქნება თანამედროვე, ღირსეული საგანმანათლებლო კერა. აქტიურად გრძელდება სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განახლებაც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ სამრეკლოში, რომელიც 315 ბავშვზეა გათვლილი, ასევე მიმდინარეობს ქ. დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. სრული რეაბილიტაცია უტარდება სოფელ ზემო ქედის №1 საბავშვო ბაღსაც. 2024 წელს, ისევე, როგორც გასულ წლებში, გაგრძელდა საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება. დასრულდა დედოფლისწყაროსიღნაღის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც არბოშიკელების, მირზაანელების, ზემო მაჩხაანელების და ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მცხოვრებისთვის, ასევე ჩვენი სტუმრებისთვის. წელს დასრულდა ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი – ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის მონაკვეთის და სოფელ ხორნაბუჯში აღმაშენებლის ქუჩის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები . როგორც დაგპირდით, წინა წლების მსგავსად, საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია შეეხო ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს. ახალი და კომფორტული გზების რეაბილიაციას 2025 წელსაც აქტიურ რეჟიმში გავაგრძელებთ. ჩვენ ვაგრძელებთ კიდევ ერთი საარჩევნო დაპირების შესრულებას. კერძოდ, დაწყებულია და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩაზე არსებული კორპუსების ფასადების (ე. წ. მიკრორაიონი) რეაბილიტაცია . ასევე მიმდინარეობს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძველი ჭიშკრების და ღობეების განახლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის იერსახის გალამაზებისთვის. 2024 წელსვე დაიწყო დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სრული რეაბილიტაცია, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის. წელს არაერთი სასიკეთო პროექტი განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებშიც. კონკრეტულად კი რეაბილიტირდა არსებული და მოეწყო ახალი რეკრეაციული ზონები და გასართობი მოედნები, მოიხრეშა და დაგრეიდერდა გზები, ასევე მოეწყო გარე განათებები, ცხაურები და სხვა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ნაბიჯები, რომლებიც 2024 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოსთან ერთად სოციალური მიმართულებით გადადგა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთჯერადი ფინანსური დახმარება ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე, ასევე 2024 წლიდან შშმ პირების, პენსიონერების და 6-18 წლამდე ბავშვების ძვირადღირებული სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება სარეიტინგო ქულის გარეშე გახდა შესაძლებელი. წარმატებით გრძელდება „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ პროგრამა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 260 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარია დასაქმებული, რომლებიც დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ზრუნავენ ჩვენი გალამაზებული ქუჩების სისუფთავეზე. აქვე გეტყვით, რომ 2025 წლიდან პერსონალური ასისტენტის პროგრამა ამოქმედდება, პროგრამის ფარგლებში შშმ პირებს, საჭიროებიდან გამომდინარე, პირადი ასისტენტი მოემსახურება. კერძოდ, სპეციალურად კვალიფიცირებული პირი მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, გადაადგილებისას, განათლების მიღებაში, საჯარო სერვისებით სარგებლობაში და სხვა აქტივობებში დაეხმარება. მისასალმებელია ისიც, რომ მომავალი წლიდან ჩვენს ბავშვებს (6-12 წწ) შესაძლებლობა ეძლევათ, ფეხბურთი ,,დინამოს“ აკადემიის მწვრთნელებმა შეასწავლონ. ამ და კიდევ ბევრი სიახლით შევხვდებით 2025 წელს კიდევ უფრო წარმატებულ, კიდევ უფრო გალამაზებულ დედოფლისწყაროში. კიდევ ერთხელ გილოცავთ, მეგობრებო. მშვიდობის, ერთიანობის, სიყვარულის, ხვავის და ბარაქის წელი გქონოდეთ. უფალი გფარავდეთ.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ახალ 2024 წელს! ფეხბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს ახალი წელი თითოეული თქვენგანის ოჯახისთვის და სრულიად საქართველოსთვის. მოკლედ შევაჯამებ განვლილ 2024 წელს რომელიც ჩვენი მეზობლი ქვეყნებისთვის და მთელი მსოფლიოსთვის იყო ურთულესი. მიმდინარე ომებმა შეიწირა არაერთი ადამიანის სიცოცხლე, დაანგრია ეკონომიკა, წარმოშვა ჰუმანიტარული კრიზისი. ასევე გაჩნდა ახალი საომარი კერები... ამ ყველაფრის ფონზე შეუძლებელია გმირობად არ ჩაითვალოს ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში სტაბილურობაზე, მშვიდობაზე და ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდა ორიენტირებული. არსებული გამოწვევების ფონზე ჩვენი ლამაზი და საყვარელი ქვეყანა ყოველდღიურად ბეწვის ხიდზე გადის, თუმცა ნარმატებით. ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობიდანაც თვალსაჩინოა ის პროგრესი, რომელსაც საქართველო განიცდის. ხედავთ, რომ ყოველდღიურად შენდება და ლამაზდება დედოფლისწყარო. ამ ყველაფრის მისაღწევად ნებისმიერი ძალისხმევა უშედეგო იქნებოდა, რომ არა მშვიდობა და სტაბილურობა. დაე, მომავალ წელი უფრო ნაყოფიერი ყოფილიყოს ჩვენიო ქვეყნისა და მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის. გისურვებთ მშვიდობას, კეთილდღეობას და ჯანმრთელობას. განსაკუთრებით ვულოცავ ჩვენს პატარებს, რომელთაც ახალი წლის დადგომა განსაკუთრებულად ახარებთ. ისინი ყოველთვის დიდი მოლოდინით და ინტერესით ელოდებიან ახალი წლის შემობრძანებას და თოვლის პაპის საჩუქრებს. ვუსურვებ მათ ყველა ფერადი ოცნების და ნატვრის ახდენას.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ ახალ 2025 წელს!

«მშვიდობას და განვითარებას ალტერნატივა არ აქვს»

როგორი იყო 2024 წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის? – შეფასება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს ვთხოვეთ.

„2024 წელი საკმაოდ წარმატებული იყო დედოფლისწყაროსთვის. ჩვენმა ხელისუფლებამ სხვადასხვა მიმართულებით გადაჭრა ის პრობლემები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში აწუხებდა მუნიციპალიტეტს. ამისი ნათელი მაგალითია ცენტრალური პარკი, რომლის რეაბილიტაციაც სწორედ 2024 წელს განხორციელდა. ეს ბევრი დედოფლისწყაროელისთვის ახდენილ ოცნებად იქცა.

სოფელ არხილოსკალოში გაიხსნა ლაშა ბექაურის სახელობის ძიუდოს დარბაზი, სადაც 120-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს და ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ კვლავ გაიზრდებიან მომავალი მსოფლიო, ევროპის თუ ოლიმპიური ჩემპიონები. და რაც ყველაზე მთავარია, ეს დარბაზი ხელს შეუწყობს ჯანსაღი თაობის აღზრდას.

2024 წელს ამოქმედდა შიდა საქალაქო მუნიციპალური ტრანსპორტი. ჩვენს კოხტა ქალაქს ავტობუსებმა სულ სხვანაირი ელფერი შესძინა და მოსახლეობისთვის გადაადგილება იოლი და ხელმისაწვდომი გახადა.

საგზაო ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო მოწესრიგდა. დღეს ყველა სოფელთან მისასვლელი გზა თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს და სოფლებთან მისასვლელი დროც მნიშვნელოვნად შემცირებულია.

აქტიურად მიმდინარეობს კორპუსების ფასადების რეაბილიტაციაც. პროექტმა „განახლებული რეგიონები“ ლომის წვლილი შეიტანა, რომ დედოფლისწყარო პატარა, კოპწია ევროპული სტილის ქალაქად ქცეულიყო. გადანაწილებული გვაქვს სამუშაოები და ვცდილობთ, რომ ლამაზი, სასიამოვნო და უსაფრთხო გარემო შევუქმნათ ჩვენს ყველა მოქალაქეს.

განათლების სისტემა-ჩვენი პრიორიტეტი

ის, რომ „ქართული ოცნებისთვის“ განათლების სისტემა და მომავალ თაობაზე ზრუნვა მთავარი პრიორიტეტია, დედოფლისწყაროში მიმდინარე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტებიდანაც კარგად ჩანს. და ეს რომ ცარიელი, ლიტონი სიტყვები არ არის, ამაზე მეტყველებს სოფელ სამთაწყაროში ახლადგახსნილი სკოლა. მოგეხსენებათ ეს სოფელი საზღვრისპირაა და ყველაზე მეტად დაშორებული მუნიციპალური ცენტრიდან. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს ყოველ ახალ პროექტს, რადგან ეს არის იმის მაგალითი, რომ მიმდინარეობს ზრუნვა ყველაზე მოშორებით მდებარე დასახლებულ პუნქტებშიც და ყველაფერი მხოლოდ დედაქალაქსა თუ მუნიციპალურ ცენტრში არ კეთდება. მოგეხსენებათ, რომ მდინარე ალაზნის იქით ჩვენი ჰერელი ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც უყურებენ ამ ყველაფერს და მათაც ახარებთ ის ფაქტი, რომ ისტორიულ სამშობლოში აღმშენებლობა მიმდინარეობს.

წელს ოზაანშიც ავაშენეთ ახალი სკოლა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა კომუნისტების დროიდან ელოდა, მაგრამ ამაოდ. ათწლეულების დაპირება მხოლოდ ჩვენმა ხელისუფლებამ შეუსრულა ოზაანელებს.

ქალაქ დედოფლისწყაროში N1 საჯარო სკოლის მშენებლობა უკვე აქტიურად მიმდინარეობს და 2026 წლისთვის ჩვენ ყველაზე დიდი, ლამაზი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა გვექნება. ასეთი სითბოთი და სიყვარულით ვსაუბრობ მასზე იმიტომ, რომის ჩემი მშობლიური სკოლაა და მასთან განსაკუთრებული სენტიმენტები მაკავშირებს.

ზემო ქედში დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა და დასრულების ეტაპზეა თითქმის მთლიანად განახლებული სამრეკლოს საჯარო სკოლა.

სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პარალელურად ჩვენი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის უშუალო პრეროგატივაა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებზე ზრუნვა. მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დედოფლისწყარო პირველი მუნიციპალიტეტი იყო, სადაც საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის კვება უფასო გახდა. ეს ინიციატივა დღემდე გრძელდება და ბაღების ინფრასტრუქტურის მოწყობასთან ერთად ჩვენს პატარებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი განვითარებისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული შემოწმებებისა და დასკვნის მიხედვით, დედოფლისწყარო კახეთის რეგიონში საბავშვო ბაღებში არსებული სიტუაციის მიხედვით პირველ ადგილს სტაბილურად ინარჩუნებს.

ვცდილობთ, ყოველწლიურად, თვისობრივად გავაუმჯობესოთ ბაღებში არსებული ვითარება.

ასე,მაგალითად, სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღში ყველა პირობა შექმნილი ბავშვებისათვის, მაგრამ შენობა საკმაოდ მოძველებული იყო, კომუნისტების დროინდელი შენობა-ნაგებობა უკვე დემონტაჟს საჭიროებდა. ასეც მოვიქეცით და დაიწყო ახალი ბაღის მშენებლობა, მუნიციპალური ფონდის ხელშეწყობით და ასევე, ყველაზე დიდი ბაღი დედოფლისწყაროში, მეორე ბაღი, რომლის სრული რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. ბავშვები სხვადასხვა ბაღში არიან გადანაწილებულნი და მისი სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ისევე, როგორც ზემო ქედის საბავშვო ბაღის.

2025 წელს ქვემო ქედში დაიწყება ახალი ბაღის მშენებლობა, რადგან ბავშვები აქაც ძველ, ამორტიზებულ შენობაში იმყოფებიან. ჩვენი ხელისუფლების ზრუნვა მომავალ თაობაზე განუხრელად გრძელდება.

რამდენიმე დღის წინ დავამტკიცეთ 2025 წლის ბიუჯეტი, სადაც ბაგა-ბაღების გაერთიანების დაფინანსებამ შეადგინა 4 000 000 (4 მილიონი) ლარი, მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს მათი ბიუჯეტი 400 000 ლარი იყო. საქმე მარტო ციფრებშიც არ გახლავთ - შეადარეთ ძველი და ახლანდელი ბაღების ინფრასტრუქტურა და იქ არსებული ვითარებაც, ვფიქრობ, სიტყვები ზედმეტია...

– ძალიან კარგია, როდესაც საჯარო სკოლებისა თუ ბაღების ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია, მაგრამ ბავშვების კონტიგენტი მცირეა...მართალია, მიგრაცია ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე გადასაჭრელი პრობლემა არაა, მაგრამ მაინც, რას იტყოდით, რა არის მთავარი გამოწვევა თქვენი ხელისუფლებისთვის?

– ეს ის გლობალური გამოწვევებია, რომლებთანაც ბრძოლა მხოლოდ მუნიციპალიტეტს არ შეუძლია. მიგრაციის პროცესი გლობალიზაციის შედეგია და ეს პროცესი მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს, თუმცა, ჩვენ რაც შეგვიძლია, ვცდილობთ ისეთი პროგრამები შევიმუშავოთ, რომლებიც შეაფერხებს ამ პროცესს და უფრო მეტ ადამიანს გაუჩენს სურვილს, რომ ადგილზე დარჩეს. ეს არის სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები, წახალისება დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად იმ პროგრამების განხორციელება, რომელიც ეკონომიკური აქტივობის განხორციელებას უწყობს ხელს. ამ მიმართულებითაც ბოლო წლებში ბევრი რამ სასიკეთოდ არის შეცვლილი. **სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ დედოფლისწყაროდან ევროპის ქვეყნებში წასული ახალგაზრდებიდან ბევრი დაბრუნდა უკან, მუნიციპალიტეტში. მათ ბევრი რამე ნახეს, ცოდნა და გამოცდილება მიიღეს და ერთ რამეში დარწმუნდნენ, რომ დიდი თავდადებისა და შრომის გარეშე არსად არაფრის მიღწევა არ შეიძლება.**

გლობალიზაციამ და ღია ეკონომიკამ დაგვანახა, რომ შრომის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ერთი რამ ფაქტია - **ქართული ეკონომიკა ფეხზე დგება, შემოსავლები ნამდვილად გაზრდილია.**

– დედოფლისწყაროელები ამბობენ, რომ მოსახლეობის დასაქმებისა და სამუშაო ადგილების პრობლემა კვლავ გადაუჭრელ საკითხად რჩება...

– ვერ დაგეთანხმებით. ჩვენს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დასაქმებულების 90% არადედოფლისწყაროელია, ბევრ პროექტზე-არაქართველიც. და ეს იმიტომ, რომ ამ კომპანიებს ადგილზე ვერ უშოვიათ მუშა-ხელი თუ ინჟინრები. სასკოლო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მომუშავე ბევრი ადამიანი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქეა.

– რას უსურვებდით დედოფლისწყაროელებს?

– მშვიდობას და განვითარებას არა აქვს ალტერნატივა. ძალიან რთული პროცესები მიმდინარეობს ჩვენს სამეზობლოში და სრულიად მსოფლიოში. ფაქტიურად, არსებული თამაშის წესები იცვლება, უსაფრთხოების სტრუქტურა იცვლება და ფაქტიურად, დიდი ძალთა გადანაწილება მიმდინარეობს მსოფლიოში. და საქართველო, რომელიც ამაყობს თავისი სამიათასწლოვანი ისტორიითა და კულტურით, ძალიან ბევრჯერ მომხდარა მსგავს სიტუაციაში, ისტორიულ ქარტეხილებში და ჩვენ გვაქვს დიდი და მდიდარი გამოცდილება, როდესაც გონივრული მიდგომებით ქვეყანა გამოსულა აღნიშნული სიტუაციებიდან გამარჯვებული. გვაქვს სამწუხარო გამოცდილებაც-დანგრეული ქვეყანა და დაკარგული დამოუკიდებლობა. ამ ისტორიული გაკვეთილებიდან სწორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ და ქართველებმა ჩვენი ქვეყანა უცხოტომელებს ხელში არ უნდა ჩავუგდოთ.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

„საკრებულოს ყველა წევრი მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული...“

2024 წელი ბევრი სიახლით აღინიშნა დედოფლისწყაროს ცხოვრებაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულო. როგორ აფასებს საკრებულოს თავმჯდომარე განვლილ წელსა და მუშაობას, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

„2024 წელი, ისევე, როგორც წინა წლები, ერთფეროვანი იყო. ჩვენი მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრების საქმიანობა რუტინულია და ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. ჩვენი ძირითადი მოვალეობა მერიის კონტროლია, შესრულებული საქმეებისა და ბიუჯეტის კონტროლი, რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება თანხა, რომელიც ხალხის ფულია. გვაქვს წინასწარ გაწერილი გრაფიკი საკრებულოს სხდომების ჩატარების თაობაზე, რომელსაც წინ უძღვის ბიუროს, საკრებულოს კომისიების სხდომები...

საკრებულოს ხალხი ირჩევს, ამიტომ მისი თითოეული წევრი ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე. გვაქვს გრაფიკი, რომლის შესაბამისადაც ვხვდებით მოსახლეობას, ვისმენთ მათ პრობლემებს და ვესაუბრებით. მიმაჩნია, რომ ჩვენი ვალია, ყოველთვის ახლოს ვიყოთ მოსახლეობასთან და არასოდეს დავშორდეთ მათ. საკრებულო 30 წევრისგან შედგება, მათგან 24 „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმრავლესობით მოსვლა ნიშნავს, რომ ამომრჩეველი ხედავს ჩვენი ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებს და ხალხის ნდობის მანდატიც ამაზე მეტყველებს.

ახლახან მივიღეთ 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტია და მე სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ თუ 2012 წელს დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი, დაახლოებით, 4 მილიონ ლარს შეადგენდა, დღეისათვის ჩვენი ბიუჯეტი, წლის ბოლოსთვის, როდესაც რეგ.ფონდების თანხაც დაემატება, 25 მილიონ ლარამდე გაიზრდება. ამისი დამსახურებაა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სფერო უპრობლემოდ ფუნქციონირებს.

საკრებულოს ყველა წევრი ორიენტირებულია მოსახლეობის კეთილდღეობაზე, გვინდა, რომ ბიუჯეტის სიკეთე თითოეულ დედოფლისწყაროელს შეეხოს. ამისი დასტურია ის ცვლილებები, რომლებიც სოციალური პაკეტის, ახალშობილების ერთჯერადი დახმარების გაზრდას ეხება. მართალია, საკითხების ინიცირების პრეროგატივა მერიას აქვს, მაგრამ საკრებულოს ნებართვის გარეშე ვერცერთი ინიციატივა ვერ განხორციელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მშვენიერი გამონაკლისია, სადაც საკრებულოც და მერიაც ერთად, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე თანამშრომლობს და საერთო საქმეს აკეთებს.

მე აღარ ჩამოვთვლი იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან განხორციელდა, უბრალოდ ვიტყვი, რომ ჩვენ, დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრები თითო აგურს ვდებთ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მშენებლობის პროცესში.

-ბატონო ნუგზარ, არ შემიძლია, არ გკითხოთ დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. საპროტესტო აქციების შეფასებისას ბევრი 9 აპრილთან პარალელსაც ავლებს. თქვენ, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი და როგორც ისტორიკოსი, რას იტყოდით?

- მე იმ ასაკის ადამიანი ვარ, ვინც 1989 წლის მანიფესტაციების უშუალო მონაწილე ვარ. მე მაშინ ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულების ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის ახალგაზრდა მასწავლებელი ვიყავი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პიკში იყო და მაშინ საკმაოდ პრესტიჟული იყო

ამ აქციებზე დგომა. ეს ეხებოდა ქვეყნის თავისუფლებას. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამოაზრეობა და მათ გვერდით დგომა სამარცხვინო ვერ იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ მათ დაძახილზე უამრავი ახალგაზრდა, სტუდენტი გამოდიოდა. 9 აპრილსაც იქ ვიდექი ჩემს მოსწავლეებთან ერთად. ღამის 10 საათზე ბავშვები სახლამდე მივაცილე და მეც წავედი. იმ ღამით მოხდა ის, რაც მეორე დღეს ყველამ გაიგო. მაშინ ყველა იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ახლა კი, ამ აქციების მიზანი ხელისუფლების ხელში ჩაგდებაა და არა ქვეყნის ბედზე ზრუნვა. ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია. რატომ არ სჯერა ბევრს, რომ საქართველოსაც შეიძლება იგივე დაემართოს, რაც უკრაინას დაემართა? მე უკრაინის ბედის გაზიარება ნამდვილად არ მინდა, და როგორ მოვიწონო აქციის ორგანიზატორების საქციელი? რა თქმა უნდა, აქციის მონაწილეთა შორისაც არიან პატრიოტები, მით უმეტეს ახალგაზრდები, რომლებიც ალალი და მართალი გულით არიან მოსულები და მათი მიზანი ქვეყნის უკეთესი მომავალია. არადა, ჩვენს ხელისუფლებას მართლა არ გადაუხვევია ევროპული გზიდან. მე მართლა აღფრთოვანებული ვარ იმ საერთო პოლიტიკით, რაც სოციალურ თუ საგარეო ურთიერთობებში აისახება. გახსოვთ ალბათ, რამდენჯერ იყო ჩვენი ომში ჩართვის მცდელობა, მოწოდება. რუსეთს აქვე, 25 კილომეტრში ჰყავს ჯარი და საქართველოს ოკუპაცია სულ ადვილია. ეს ხომ უნდა გავაცნობიეროთ? ან ვინ ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტი არაა? ვიძახით, მაგრამ რისი გაკეთება შეგვიძლია ამ პატარა ქვეყანას? ხომ უნდა მივიღოთ გონივრული გადაწყვეტილება და არა ქვეყნის საზიანო. ოპოზიცია ხელისუფლების შავი პიარითაა დაკავებული და არა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებით. პირიქით, ისინი საერთაშორისო ასპარეზზეც ცდილობენ, რეპუტაცია შეულახონ დღევანდელ ხელისუფლებას.

ხელისუფლების ვალია, იზრუნოს როგორც ქვეყნის ბედზე, ისე თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. მჯერა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის წევრი და იქნება ღირსეული და ეკონომიკურად წელში გამართული!

რას ვუსურვებ საახალწლოდ დედოფლისწყაროელებს ?-მთელ დედოფლისწყაროს და სრულიად საქართველოს ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას და ეკონომიკურ კეთილდღეობას! მრავალ შობა-ახალ წელს!

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

საკრებულომ 2025 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

24 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.

სხდომის მთავარი თემა 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება იყო. ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა დედოფლისწყაროს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა. მან მოკლედ მიმოიხილა მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის პრიორიტეტები, რის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა ის ერთხმად დაამტკიცეს. საკრებულოს სხდომას ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთაგან არავინ დასწრებია. 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სხდომაზე განიხილეს სხვა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიც.

- „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტების, შეღავათების დადგენის და მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ; მგზავრობის ტარიფი 1:00 ლარით განისაზღვრა. უფასოდ იმგზავრებენ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები; 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველები, პენსიონერები, პედაგოგები, საბავშვო ბაღების თანამშრომლები, უნარშეზღუდულები, მრავალშვილიანები და ა.შ.
- „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე..
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტის სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
- ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები აცხადებდნენ, რომ 2025 წლის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია. კვლავ გაიზარდა სოციალური პაკეტი და მან 1 336 000 ლარი შეადგინა.

მარტოხელა შშმ პირებს ასისტენტი მოემსახურება

2025 წლიდან დედოფლისწყაროში სოციალურად დაუცველთათვის პერსონალური ასისტენტის პროგრამა ამოქმედდა, რაც დამხმარის დანიშვნას გულისხმობს. სერვისით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ისარგებლებენ. ასისტენტის მომსახურებას დედოფლისწყაროს მერია წელიწადში 5 ბენეფიციარს დაუფინანსებს. პერსონალური ასისტენტის სერვისი მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს კვების, საკუთარი თავის მოვლის, ჩაცმის, სახლის საქმის, საყიდლებზე სიარულის, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მომსახურების მიღებაში, ასევე მუშაობისა და დასვენების, დღის დაგეგმვის ან/და სხვა მსგავს აქტივობებში დახმარებას.

პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით; მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

ასისტენტის მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას დედოფლისწყაროში ჯანდაცვის სამინისტრო დაარეგისტრირებს. მომსახურებას კი მიიღებენ დედოფლისწყაროში მცხოვრები 18 წელს ზემოთ პირები, რომელთაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტით დაუდგინდათ პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი; ხარჯების დასაფარად კი მუნიციპალიტეტი გამოყოფს ვაუჩერს. მომსახურების მიმღები პირისთვის მისი სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით პერსონალური ასისტენტის მომსახურება დაფინანსდება: რეგულარული ასისტირებისთვის — არაუმეტეს თვეში 60 საათი; სპეციალიზებული ასისტირებისთვის — არაუმეტეს თვეში 120 საათი. მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს მერიას. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 150 000-სს. განაცხადს მერიის სოციაალური სამსახური განიხილავს.

„პროფესიონალი გუნდის დახმარებით დავძლიეთ ყველა სირთულე და გამოწვევა“

კულტურა არის ის ღირებულებები, შეხედულებები, ქცევის ნორმები და მატერიალური საგნები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების წესის ფორმირებას ახდენენ. იგი ადამიანის შემოქმედებითი, შრომითი საქმიანობის სფეროა. არსებობს კულტურის ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით კულტურა არის საზოგადოების ისტორიის მანძილზე, ადამიანის მიერ შექმნილი და ქმნადობის პროცესში მყოფი მატერიალური და სულიერი ღირებულებების ერთობლიობა. ვიწრო გაგებით კულტურა ადამიანის მიერ შექმნილ სულიერ ღირებულებათა ერთობლიობაა მხოლოდ. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულტურა საზოგადოების წევრ პიროვნებებს აყალიბებს, გარკვეული დოზით მათ ქცევებსაც არეგულირებს.

სწორედ ამ მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრიც **(ხელმძღვანელი: დოდო ხუნაშვილი)**. 2024, ისევე როგორც გასული წლები, ამჯერადაც დატვირთული და საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა კულტურის სფეროსთვის. გაზეთი „შირაქი“ ტრადიციულად ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შემაჯამებელ სტატიას გთავაზობთ.

ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის

თანახმად, 2024 წელი დატვირთული იყო ყველა მიმართულებით. წლის განმავლობაში ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში (**ხელმძღვანელი: ცარო მარტიაშვილი**) არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებებია ჩატარებული: ქართული თეატრის დღისა და ძველი ახალი-წლის აღნიშვნა - „საახალწლო ზღაპარი“, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მარტის თვეა შენი...“ და ფოტო - გამოფენა „ლამაზ ქალისთვის ვაჟკაცები იწყებდნენ ომებს... “, „ალბათ აპრილსაც ვიღაცა უყვარს...“, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ცეროდენას“ მიერ ჩატარებული ღონისძიება „ჩვენ რომ გვიყვარს მოფერება, შენი თეთრი თმებია...“, ოჯახის ინიციატივითა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელშეწყობით საღამო მიეძღვნა ირაკლი კიკილაშვილის ხსოვნას, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო კონცერტი, ანსამბლი „მანდილი“ საანგარიშო კონცერტი კონცერტით წარსდგა საზოგადოების წინაშე, 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბავშვებისთვის დღესასწაულად იქცა, ახალგაზრდული თეატრმა „ბერიკონი“ კიდევ ერთი წარმატებული პრემიერით დაამახსოვრა თავი მაყურებელს (დაიდგა „სტუმარ - მასპინძელი “), დედოფლისწყაროში სტუმრად იმყოფებოდა აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“. მათთან ერთად ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო კულტურის სახლთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხორნაბუჯი“. აგვისტოს ომიდან გასული 16 წელიც გაიხსენა საზოგადოებამ. გაიმართა სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“, ქეთევან წამებულის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, უკვე ტრადიციად დამკვიდრდა „ვაჟაობა“-სახალხო დღესასწაული, ასევე „ჭაჭის ფესტივალი“-ქ.თელავში, საზეიმოდ აინთო ქ.დედოფლისწყაროში მთავარი ნაძვის ხე, სადაც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ანსამბლები, საახალწლო ღონისძიება საქართველოს მთავრობის ინიციატივით კი წლის შემაჯამებელი ღონისძიება აღმოჩნდა.

მთელი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის სოფლების კულტურის სახლებში ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის არაერთი ღონისძიებება: ალილოს მსველობა (სოფლები- ზემო ქედი, ზემო მაჩხაანი, სამრეკლო), ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (ყველა სოფელში), „ჩემი სოფელი არბოშიკი“ - სოფელ არბოშიკის კულტურის სახლი, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ყველა სოფელში, საგაზაფხულო ღონისძიებები - ასევე ყველა სოფელში, კულტურის ამაგდარი მუშაკის მაყვალა წიკლაურის საიუბილეო (80 წელი) საღამო - სოფელ ქვემო ქედის კულტურის სახლი, წინა საახალწლო ღონისძიებები- მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში 20 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 2024 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ არსებული ინფორმაცია ასე გამოიყურება (**ხელმძღვანელი: ლალი გურასპაული**):

ჩეხეთის კულტურის ცენტრისა და მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატის მოსწავლეთა ინიციატივით ერთობლივი გამოფენა - „ჩვენ - ქალები მშვიდობისთვის“ გაიმართა, შედგა სოფელ ქვემო ქედში მცხოვრები მხატვრის ნოდარ დარძულის პერსონალური გამოფენა, მუზეუმმა კვლავ უმასპინძლა მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში კონფერენციებს, სადაც არაერთი საინტერესო თემა განიხილეს. მუზეუმს წლის განმავლობაში სტუმრობდა 200 ვიზიტორი. აღსანიშნავია, რომ ივნისიდან მუზეუმში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და სულ მალე, დედოფლისსწყაროს თანამედროვე სტანდარტების კეთილმოწყობილი მუზეუმი ექნება.

2024 წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმისთვისაც (**ხელმძღვანელი: ქეთევან მჭედლიშვილი**). წლის განმავლობაში მუზეუმს 400 ვიზიტორი სტუმრობდა. გარდა ამისა, გაიმართა სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ღონისძიებები: ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ხელნაკეთი ნივთებისა და გობელინის წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენა, ღონისძიება - „კარს შემოგვიმტვრევს სიყვარული, აპრილთან ერთად ...“, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც განხილული იქნა თემები, მოეწყო ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ბავშვთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა,

გაიმართა კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი და დამუშავებული იყო შემდეგი თემები-„ქართველი გამოჩენილი მეომრები ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში“ და „ქართული ხალხური კერამიკა“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური საბიბლიოთეკო გაერთიანების (**ხელმძღვანელი: მანანა მაჭარაშვილი**) მიერ 2024 წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: მკითხველთა კონფერენცია-9, წიგნის განხილვა-17, კითხვა- პასუხის საღამო-19, ზეპირი ჟურნალი-19, შეხვედრა-18, წიგნით მოგზაურობა-6, ლიტერატურული საღამო-20, ლიტერატურული დილა-24, ლექცია-მოხსენება-42, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა-218, ინფორმაციის დღე-14, სპეციალისტის დღე-13, გამოფენა-320, თეორიული კონფერენცია-2. სულ ჩატარდა 741 ღონისძიება. მუნიციპალური ბიბლიოთეკა სულ მოემსახურა 7861 მკითხველს და გაიცა 145217 ცალი წიგნი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებული ღონისძიებები (**მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოორდინატორი: თამარ ლაპიაშვილი**): წიგნის ხმამაღლა კითხვის მსოფლიო დღე (სპეციალისტი: თამარ აბულაძე), ჩვენი გმირი წინაპრები და წმინდანები (სპეციალისტი: ნინო სიფრაშვილი), „და რაკი ზამთრით გადაიღალეთ, ეს გაზაფხული ჩვენ მოგიყვანეთ“ (ნინო სიფრაშვილი), სტუმრად მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნოდარ დარძულის ნახატების გამოფენაზე (თამარ აბულაძე), ინტელექტუალური კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“ (თამარ აბულაძე), „ქართული ქართველთ რწმენაა“ -დედა ენის დღე (ნინო სიფრაშვილი), სტუმრად ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ხელსაქმის წრის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა (სპეციალისტები: ლია ნატროშვილი, თეა ნატროშვილი), კონკურსი „ვაჟა-ფშაველა -მთის არწივი“ (ნინო სიფრაშვილი), ჩატარდა საზაფხულო მუშაობა:მხიარულთა და საზრიანთა კონკურსი, მხიარული სტარტები, შეჯიბრი ჭადრაკში (სპეციალისტები: თამარ აბულაძე, ნინო სიფრაშვილი, მაყვალა მაძღარაშვილი), რა ვისწავლეთ ინგლისურში შემაჯამებელი ღონისძიება (სპეციალისტები: ნინო ჯავახიშვილი, დონარი ჯალიაშვილი), გზა ევროპისკენ -ჩვენი ევროპული მომავალი (თამარ აბულაძე), „ვაზია ჩვენი ბიბლია და ჩვენი ანბანი“ (ნინო სიფრაშვილი), ფოტო კონკურსი „კადრი სკოლიდან“ (თამარ აბულაძე), სახალისო მათემატიკური ვიქტორინა (სპეციალისტი: მზია ბაშარული), საინფორმაციო სემინარი -კიბერდანაშაულის შესახებ (თამარ აბულაძე).

დედოფლისწყაროს სპორტული საზოგადოებისთვის 2024 წელი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. 2024 წლის

განმავლობაში ჩატარებული სპორტული ღონისძიებები ასე გამოიყურება: მუნიციპალური ტურნირი ფრენბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის ჭაბუკებში (ქ.დედოფლისწყარო), მუნიციპალური ტურნირი ფრენბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის გოგონებში (ქ.დედოფლისწყარო), მუნიციპალური ტურნირი კალათბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის ჭაბუკებში (ქ.დედოფლისწყარო), მუნიციპალური ტურნირი კალათბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის გოგონებში (ქ.დედოფლისწყარო), ცენტრალური სტადიონზე გაიმართა „ენძელა“-ს თასის ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში, საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის, შედგა ქვემო ქედის მუნიციპალური ღია ტურნირი ფეხბურთში ვეტერანებს შორის, გაიმართა სოფ. არხილოსკალოს ფეხბურთის ტურნირი საჯარო სკოლის გუნდებს შორის ჭაბუკებში, ქ.დედოფლისწყაროში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მუნიციპალური ტურნირი მკლავჭიდში, ქ.დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება სასკოლო რაგბში ქ.დედოფლისწყარო, კოდორის ხეობაში გარდაცვლილ მებრძოლ ლევან ნათათრალაშვილს მიეძღვნა ტურნირი ფეხბურთში სოფ. ქვემო ქედში, ქ. დედოფლისწყარომ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს კიკბოქსინგში „რინგის რაინდები 2024“, ასევე შედგა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში „ხორნაბუჯის თასი“, გაიმართა შინდისის გმირის თეიმურაზ ბერიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში (სოფ. ფიროსმანი), ქვ. ქედში ჩატარდა ბავშვთა ტურნირი ფეხბურთში. მუნიციპალურ ღია პირველობას მკლავჭიდში უმასპინძლა სოფ. ოზაანმა, „ვაჟაობისადმი“ მიძღვნილი მუნიციპალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში შედგა სოფ.ქვემო ქედში, ქ.დედოფლისწყაროს ცენტრალურმა სტადიონმა უმასპინძლა ამხანაგურ მატჩს ფეხბურთში, რომელიც დედოფლისწყაროსა და ქემო ქედის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა.

ახალგაზრდობის მიმართულებით 2024 წელს გაწეული მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა (**სპეციალისტი ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში: ნინო ალადაშვილი**): ყველაფერი 25 თებერვლის შესახებ, დედაენის დღეს მიეძღვნა ღონისძება „ჩემი ენა ქართული“, ჩატარდა ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის?(მაჩხაანის ზონა), (ქედების ზონა), (დედოფლისწყაროს ზონა), შედგა (ფინალიც), აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე, გაიმართა შეხვედრა FLEX-ის პროგრამის გამარჯვებულთან, მორალი და ადამიანი - შედგა ვიდეო რგოლის ჩვენება, დისკუსია, ი. ნონეშვილის ცხოვრების და შემოქმედების გაცნობა -ექსკურსია ი. ნონეშვილის მუზეუმში, გარემოს დაცვა და ჩვენი როლი მის მოვლა-პატრონობაში - საინფორმაციო შეხვედრა.

პ.ს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს სხვადასხვა მიმართულებებით აქტიურ მუშაობას და შექმნის შემოქმედებითი საქმიანობისთვის კიდევ უფრო მრავალფეროვან გარემოს, სადაც ჩამოყალიბდება და გაიზრდება ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების, თვისებებისა თუ შეხედულებების მქონე ღირსეული თაობები.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

მერიის სოციალური სამსახურის წლიური ანგარიში

რედაქცია არ არღვევს გასული წლების ტრადიციას და მკითხველს სრულ ინფორმაცის ვაწვდით მერიის სოციალური სამსახურის წლიური ანგარიშის თაობაზე. გვესაუბრება მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლალი ზურაშვილი:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ორგანიზებულად შესრულების მიზნით დამუშავდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2024 წლის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც დამტკიცდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 დეკემბრის №28 დადგენილებით. პროგრამა არის მაქსიმალურად მოქნილი, გამჭვირვალე და საჭიროებებზე მორგებული, ამ პროგრამით განსაზღვრული სერვისები ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. ასევე მნიშვნელოვანია ამ პროგრამის ის მხარე, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას.

სოციალური დახმარების პრიორიტეტებს წარმოადგენს შემდეგი კატეგორიები:

• მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი;

• შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი;

• ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი;

• ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი;

• მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე) ბავშვი;

• მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

• საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი;

• ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული, უსახლკარო და ავარიული საცხოვრებელი სახლის (ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი) მფლობელი ოჯახი;

•სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ოჯახი;

• 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე;

• მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი და მონაწილე;

• ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე;

• მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ოთხი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე) ბავშვი;

• მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება;

• აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრუწლოვან ბავშვთა ოჯახი;

• მოქალაქეთა სტაციონარული ან სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ან თანადაფინანსების მიზნით, გაიცა 377 ადმინისტრაციული დაპირება, რომელთა დასაფინანსებელმა თანხამ შეადგინა 128030 (ას ოცდარვა ათასი ოცდაათი) ლარი.

• ზემოთხსენებული დადგენილების საფუძველზე სხვადასხვა კატეგორიის 800 ოჯახმა, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 150000 ან ნაკლებს, ზამთრის სეზონზე გათბობის უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადად მიიღო 100 ლარი, რამაც მთლიანობაში შეადგინა 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

• დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი უფასო კვების ობიექტის დასაფინანსებლად 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 312 700 (სამას თორმეტი ათასი შვიდასი) ლარი, სადაც უმაღლესი ხარისხის საკვები პროდუქტებით იკვებება 170 მიუსაფარი და სოციალურად დაუცველი პირი.

• 2024 წლის განმავლობაში მოქმედი მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამით ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად საერთო ჯამში დახმარება გაეწია 1831 ბენეფიციარს, რაზეც გაიხარჯა 786 322 (შვიდას ოთხმოცდაექვსი ათასი სამას ოცდაორი) ლარი.

• 2024 წელს ინვალიდის ეტლი გადაეცა 7 ბენეფიციარს (ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ეგიდით).

ელზა ხარაშვილი

სათნოების სახლის ბენეფიციარებს მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან ერთად დედოფლისწყაროს სათნოების სახლში გამართულ საახალწლო კონცერტს დაესწრო.

ღონისძიებაზე ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა საახალწლო თემატიკაზე შექმნილი კლასიკური ნაწარმოებები და სიმღერები შეასრულეს.

დამსწრე საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიულოცა და მშვიდობიანი და ბედნიერი წელი უსურვა.

კონცერტის დასრულების შემდეგ ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა, მოწვეულმა სტუმრებმა და სათნოების სახლის ბენეფიციარებმა ერთობლივი ფოტოები გადაიღეს.

* * *

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ, ტრადიციულად წინასაახალწლოდ, სურსათისა და ტკბილეულის სასაჩუქრე ნაკრები მოწყვლად ჯგუფებს დაურიგა.

30 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი სათნოების სახლს ესტუმრნენ და ბენეფიციარებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტისგან შემდგარი სადღესასწაულო სასურსათო კალათი 170 ბენეფიციარმა მიიღო.

დედოფლისწყაროელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

22 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართა თბილისის ღია ჩემპიონატი ძალისმიერი სამჭიდის ერთ-ერთ დისციპლინაში-კლასიკურ წოლჭიმში.

შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღო 120 მდე სპორტსმენმა-10/11 გუნდით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და ქალაქებიდან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდი-12 სპორტსმენით მონაწილეობდა ამ შეჯიბრზე (6 ძირითადი და 6 სარეზერვო შემადგენლობა). სამწუხაროდ, რამდენიმე სპორტსმენმა შეჯიბრის წინ ტრავმები მიიღეს და ვეღარ გამოვიდნენ ასპარეზზე. დანარჩენმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და სხვადასხვა რანგის მედლები მოიპოვეს - სერგო ზოროღლიანი-პირველი ადგილი, 77,5 კგ-165 კგ-აწევა, 22 წლის (სერგო გამორჩეული სპორტსმენია და დიდი მიზნებიც აქვს, თავგამოდებით ვარჯიშობს და მიუხედავად იმისა რომ მუშაობის გამო ხელი ეშლება, კვირაში 3-ჯერ ასწრებს ვარჯიშს, მაინც აღწევს დასახულ შედეგებს. იმედი გვაქვს, მალე საქართველოს ნაკრებში ვიხილავთ და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზეც გაგვახარებს თავისი რეკორდებით და პირველობით). გიორგი ლოლაშვილი- პირველი ადგილი, 88 კგ, 115 კგ-აწევა,16 წლის. ალექსი ხელაშვილი-მეორე ადგილი-90 კგ, 105 კგ აწევა, 16 წლის. ირაკლი საბიაშვილი-მეორე ადგილი,104 კგ, 105 კგ-აწევა,17 წლის (აღსანიშნავია რომ ირაკლი ახალგაზრდა ჩემპიონების წარმომადგენელია. როგორც გიორგი ღვედაშვილი, რომელიც ტრავმის გამო ვერ გამოვიდა ამ შეჯიბრზე. ახალგაზრდა ჩემპიონები - ახალი შექმნილი ჯგუფია და ახალგაზრდა სპორტსმენებით არის გადახალისებული-15/16/17/ წლის მოსწავლეებით. ეს ახალი ჯგუფიც, იმედია, იტყვის თავის სიტყვას ახლო მომავალში და გაგვახარებს ბევრი გამარჯვებებით და ღირსეული ჩემპიონებით). საბა ღუღუნიშვილი-მესამე ადგილი, 109კგ, 130 კგ-აწევა,19 წლის. ნუკრი ქოზაშვილი - მეოთხე ადგილი, 72 კგ, 95 კგ აწევა-20 წლის (ნუკრიც ტრავმის გამო დაიჩაგრა)-პირადი რეკორდი -145 კგ 6 თვის წინ. ნუკრიც ფორმაში ჩადგება და ისევ დაიბრუნებს ჩვეულ ფორმას და ღირსეულ პირველ ადგილს საქართველოშიც და მსოფლიო ასპარეზზეც, ამის იმედი მაქვს.

შეჯიბრით კმაყოფილები ვართ.კონკურენცია დიდი იყო წონებში 6-8-12 სპორტსმენიც კი იყო, რაც უფრო მეტად სასიხარულოა და დასაფასებელი. შეჯიბრი კარგად იყო ორგანიზებული და კომფორტულ პირობებში ჩატარდა, რაზეც დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ათლეტიზმის და თბილისის ათლეტიზმის ფედერაციებს და მათ ხელმძღვანელობას, აგრეთვე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობას (ქ-ნ დოდო ხუნაშვილს) გუნდის დაფინანსებისთვის და ტრანსპორტირებისთვის. მომავალი შეჯიბრი-საქართველოს პირველობა გაიმართება 25 თებერვალს, 2025 წელს -წოლჭიმში და იმედი გვაქვს, რომ უფრო მობილიზებულად და წარმატებით ვიასპარეზებთ

მიხეილ სეხნიაშვილი
გუნდის მთავარი მწვრთნელი

კიკბოქსინგელების მორიგი წარმატება

საქარათველოს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ეროვნულმა ფედერაციამ პრეზიდენტ ლაშა ჭურაძის ორგანიზებით ქალაქ თბილისში 20-21-22 დეკემბერს ჩაატარა საქართველოს პირველობა კიკბოქნინგში. შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღო 150 სპორტსმენმა.

მათ შორის მონაწილეობდნენ ზემო მაჩხაანის კლუბ „ზაქების“ სპორტსმენები და შედეგები ესეთია:

****მარი ჯაბაშვილი 54კგ, მეორე ადგილი, 2011წ;***

****საბა ნატროშვილი 36კგ, მეორე ადგილი 2011წ;***

****ზურა ძნელაშვილი 40კგ, მეორე ადგილი, 2013 წ;***

****რატი დაუთაშვილი 36 კგ, მესამე ადგილი, 2013 წ;***

****ლევანი რობიტაშვილი 38კგ, მესამე ადგილი, 2013წ;***

მწვრთნელი:
გენადი ნატროშვილი

ნიკა ხუზაურაშვილს - ვერცხლი

ზემო ქედი-არხილოსკალოს გუნდის სპორტსმენმა ნიკა ხუზაურაშვილმა საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოში მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

"საქართველოს ჩემპიონატის პირველი საშეჯიბრო დღის ჩემპიონ-პრიზიორები -60 კგ

ოქრო - ჯაბა პაპინაშვილი (კასპი)

ვერცხლი - ნიკახუზაურაშვილი (იმედი ქედების)

ბრინჯაო - ამირან დარბაისელი (საგარეჯო)

ბრინჯაო - თორნიკე მაზიაშვილი (ძ.კ. ახმეტა)

მედალოსნები დააჯილდოვეს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ნოზაძემ და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ შოთა ჯავახაძემ."

„ზღაპრული ახალი წელი- კაფე „კარნავალი“

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში ახალი წლის ღამე ზღაპრულ კარნავალად იქცა. მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა ერთობლივი შემოქმედებით ძალისხმევით შექმნეს ატმოსფერო, სადაც ფანტაზია რეალობას ერწყმოდა და ყოველი მომენტი ჯადოსნური იყო.

სკოლის მოსწავლეები VII-XII კლასებიდან დამრიგებლების ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაერთვნენ პროექტში. თითოეულმა კლასმა შექმნა უნიკალური პროგრამა, რომელიც საერთო კარნავალს განსაკუთრებულ ელფერს სძენდა. ლექსები, სიმღერები, ცეკვები, სასცენო დადგმები — ყველაფერი იყო გაჟღენთილი საახალწლო სულისკვეთებით.

VII კლასი — თამილა ნადირაშვილი
VIII კლასი — ნანა გახოკიძე
IX კლასი — ლალი მეხრიშვილი
X კლასი — ფრიდონ საკანელაშვილი
XI კლასი — ნინო მატიაშვილი
XII კლასი — ელენე გრიგორიადისი.

განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მოსწავლეების მიერ შესრულებულმა ვალსმა და ტანგომ. ელეგანტური მოძრაობები და ჰარმონიული მუსიკა აუდიტორიას უნებურად ცეკვისკენ მოუწოდებდა. სკოლის დირექტორის, ქალბატონი ეკატერინე ჩიტაურის აქტიური მონაწილეობა კი საღამოს კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდიდა. ღონისძიებაზე მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ კლასები და კლასის დამრიგებლები დირექორის მიერ .

ღონისძიებაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ქართულ ტრადიციულ ცეკვებს. მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული, მთიულური და ლეზგინკა, რითაც აუდიტორიას ქართული კულტურის სილამაზე გააცნეს. ამასთანავე წარმოადგინეს ტრადიციული საშობაო სიმღერები, რომლებმაც საღამოს კიდევ უფრო მეტი სითბო და სიყვარული შემატა.

ღონისძიებაში მშობლების ჩართულობა განსაკუთრებით აღსანიშნავია. მათმა აქტიურმა მონაწილეობამ კოსტუმების შექმნაში, სცენის გაფორმებაში და მხარდაჭერაში დიდი წვლილი შეიტანა. ამ ღონისძიებამ მშობლებს საშუალება მისცა, უფრო ახლოს გაეცნოთ სკოლის ცხოვრება, დაენახათ შვილების შემოქმედებითი პოტენციალი და გაეზარდათ მათი მოტივაცია გვერდში დგომით .

„კაფე კარნავალი“ მხოლოდ საახალწლო წვეულება არ იყო. ეს იყო შემოქმედებითი პროცესი, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ერთად ქმნიდნენ ჯადოსნურ სამყაროს. თითოეული ნომერი, თითოეული სიტყვა სიყვარულით იყო გაჟღენთილი და სწორედ ამან შექმნა ის განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც ყველას გულში დიდხანს დარჩება.

საახალწლო კარნავალის დასასრული ტკბილი და ემოციური აღმოჩნდა. სკოლის დირექტორებმა, ქალბატონმა ეკატერინე ჩიტაურმა, ქალბატონ ელენე გრიგორიადისმა და ბატონ ვარლამ თაგოშვილმა ერთად გაჭრეს უგემრიელესი საახალწლო ტორტი და ყველას მიულოცეს დამდეგი ახალი წელი. ტკბილი სურვილებით სავსე ამ მომენტმა კიდევ ერთხელ გააერთიანა სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები.

სიხარული, სითბო და მადლიერება ავსებდა დარბაზს, როცა ყველას ერთად ვუმღეროდით საახალწლო სიმღერებს და ერთმანეთს ვუსურვებდით ბედნიერებას, წარმატებებს და ჯანმრთელობას. ეს იყო ჯადოსნური დასასრული ჯადოსნური დღისა.

კაფე კარნავალმა დაამტკიცა, რომ სკოლა არის არა მხოლოდ სწავლის, არამედ შემოქმედებისა და განვითარების ადგილი. ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების ყოვლისმომცველ განვითარებას და ქმნის სასიამოვნო გარემოს სწავლისა და თვითრეალიზაციისთვის.

საახალწლო დღესასწაული მეორე საჯარო სკოლაში

სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა, 2024 წლის 20 დეკემბერს წარმოადგინეს სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა” ინგლისურ ენაზე. ღონისძიება დაუვიწყარი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა როგორც დამსწრეთათვის, ასევე მონაწილეებისთვისაც.

მოსწავლეებმა დიდი მონდომებითა და კრეატიულობით წარმოადგინეს ყველასთვის საყვარელი ზღაპარი. თითოეული პერსონაჟი არა მხოლოდ გააცოცხლეს, არამედ განსაკუთრებული სითბოთი და ემოციით შეავსეს, ჯუჯების მხიარული დიალოგი, ფიფქიას სიბრძნე და სიკეთე,ბოროტი დედოფლის სცენები, ეს ყველაფერი მაყურებელს ზღაპრულ სამყაროში ამოგზაურებდა.

ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

„დიდი მადლობა თითოეულ მონაწილეს და ორგანიზატორს, ინგლისური ენის მასწავლებელს რუსუდან ქადაგიშვილს ამ შესანიშნავი დღისთვის“ - აღნიშნულია სკოლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გარდა ამისა, ამავე საჯარო სკოლის თვითმმართველობისა და სკოლის დირექციის ორგანიზებით მე-7 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით საახალწლო ღონისძიება ჩატარდა. სახალისო, გასართობი წარმოდგენებით, შემოქმედებითი, კრეატიული უნარები გამოამჟღავნეს მოსწავლეებმა და ერთმანეთს და სრულიად სასკოლო საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

არხილოსკალოს საჯარო სკოლის შთამბეჭდავი საახალწლო წარმოდგენა

ახალი წელი „ჭკვიანების სკოლაში“ პაატა მამფორიას მოთხრობების გამოყენებით („სიტყვის კაცი“, „ეკამ წერილი მიიღო“, „უცნაური მგზავრი“, და „საახალწლო ლექსიკონი“) შედგენილი სცენარით დაიწყო.

სცენაზე იმიტირებული სკოლის ეზო და არატრადიციულ საკლასო, სადაც ქართულის მასწავლებელმა (მასწავლებლის როლი შესანიშნავად მოირგო მარიამ ბუთხუზმა) ბავშვებს(ბახუტაშვილი დარინა, ბენიაიძე ელენე, ზაქაიძე თამარი, ჩოხელი ანამარია, ხარხელაური ელენე) სასიხარულო ამბავი აცნობა, რომ მათთან სტუმრად „სიტყვის კაცი“ გიორგი წიკლაური) უნდა მოსულიყო.

ის ქუთაისიდან ბრუნდებოდა. თურმე იქ პატარა მატასის დასახმარებლად იყო წასული. რადგან სტუმარს ცოტა აგვიანდებოდა ბავშვებმა საკუთარი ხელით შექმნილი ბაფთიანი, ბრჭყვიალ - ბრჭყვიალა ბარათებით მორთეს ნაძვის ხე, რომელზეც თავიანთი შედგენილი საახალწლო ლექსიკონიდან შერჩეული სიტყვები გადაიტანეს(სიხარული, გოზინაყი, ჩურჩხელა, ჩიჩილაკი, ბედნიერება, შობა).

მოგვიანებით მობრძანებულ სტუმარს, თავისი განუყრელი სკივრითა და ფერადი ლამაზი ჩიტით, ბავშვები სიხარულით შეხვდნენ.

მათ ცოდნით, ინტელექტით და ცეკვა- სიმღერით ძვირფასი სტუმრის შექება დაიმსახურეს. და კიდევ ერთხელ მიიღეს ,,ჭკვიანი ბავშვების” სტატუსი.

დასასრულს სიტყვის კაცმა“ პატარების ლექსიკონს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა მიამატა და თან განმარტა კიდეც:

„მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ი - ქართული ხალხური სიმღერაა, რომელიც ახალი წლის დადგომისას მთელს საქართველოში გაისმის.

- მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ, ჩემო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!“-ამ სიტყვებით დაასრულეს პატარებმა შემოქმედებითი გაკვეთილი.

P.S „მადლობა მინდა გადავუხადო დახმარებისა და გვერდში დგომისათვის მუსიკის მასწავლებელს ნატო აფციაურსა და მეორე კლასის მშობლებს სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისათვის. მრავალი ბედნიერი შობა-ახალი წელი, ჩემო კარგებო!“- აღნიშნავენ სკოლაში.

საახალწლო ზეიმი ქვემო ქედის სკოლაში

ქვემო ქედის საჯარო სკოლა ჩვეული ხალისით ჩაერთო 2025 წლის მობრძანების საზეიმო ღონისძიებებში. ვის ან რას არ ნახავდით აქ - საგანგებოდ მოწვეულ ანიმატორებსა თუ მასწავლებლებისა და ბავშვების შემოქმედებითი უნარების გამოვლენას. საზეიმოდ მორთული სკოლაში ამაღლებული განწყობა იყო.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს!

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა ზეიმობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის უცხო ენის (ინგლისური) კათედრამ,26 დეკემბერს ჩავატარეთ სახალწლო ღონისძიება, მადლობა ჩვენს საყვარელ ბავშვებს მონაწილეობისთვის, გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს. Happy New Year and Merry, merry christmas

იყავი ჭკვიანი, გამოიყვანი ...

24 დეკემბერს, დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელმა თამარ აბულაძემ ჩაატარა კონკურსი: „აბა, გამოიცანი“. კონკურსში მონაწილეობა სამი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდი „ცისარტყელები“,ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდი „ჭკვიანი ბავშვები" და ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის გუნდი „არწივები“.

კონკურსი ჩატარდა ორ ტურად. ბავშვები აქტიურად ჩაერთნენ კონკურსში და აღნიშნეს, რომ კონკურსზე მეტად ის გარემო მოეწონათ, სადაც იმყოფებოდნენ.

დასასრულს გამოვლინდა გამარჯვებული.პირველი ადგილი დაიკავა საპატრიარქოს გუნდმა „ცისარტყელები“ 15 ქულით. მეორე სკოლის გუნდმა „არწივები“ მოიპოვა 14 ქულა, ხორნაბუჯის სკოლის გუნდმა „ჭკვიანი ბავშვები“ კი -13 ქულა. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები, დანარჩენ მონაწილეებს მადლობის ფურცლები.

როგორი წელი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის?

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი გაზეთ „შირაქთან“ 2024 წელს აჯამებს.

— ქალბატონო მაკა, წლის ბოლოს ყველა სფერო აჯამებს მუშაობას, როგორი იყო 2024 წელი დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის?

— მოგესალმებით! მივესალმები მკითხველს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლებისთვის 2024 წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან სწავლება სხვადასხვა აქტივობებით და მნიშვნელოვანი სიახლეებით წარიმართა. სკოლები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. მათი მხრიდან მიღებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნებისმიერი გამოწვევა. თითოეული პედაგოგი მაქსიმალურადაა ჩართული სწავლების პროცესში, რაც სასწავლო პროცესის ხარისხზე აისახება. ხარისხიანი სასწავლო პროცესი კი გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ და სიღრმისეულ სწავლებას.

ეს წელი ასევე წარმატებული და შედეგიანი იყო აბიტურიენტებისთვისაც, აღნიშნული გამოვლინდა იმ მიღწევებით და ქულათა მაჩვენებლებით, რაც მათ აჩვენეს ეროვნულ გამოცდებზე. მათგან 37-მა კურსდამთავრებულმა მოიპოვა ოქროსა და ვერცხლის მედლები. რა თქმა უნდა 2024-2025 სასწავლო წელსაც მოლოდინი კიდევ უფრო მაღალია, რადგან თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი მოსწავლეების მხრიდან სწავლის მიმართ ინტერესი და მიდგომები იზრდება, რაც მათი შეფასების შედეგების პირდაპირპროპორციულია. წელს საბაზო საფეხური წარჩინებით დასრულა 30-მა მოსწავლემ, რომელთაც განვლილი სამი წელი, მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში ყველა საგანი დაასრულეს 10 ქულაზე. ტრადიციულად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერებს გადასცემს. პროგრამის მთავარ მიზანს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების მეთოდების გაძლიერება წარმოადგენს. რაც შეეხება თვითონ სკოლების გაძლიერებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, აქაც გამორჩეული იყო 2024 წელი, რადგან თითქმის ყველა სკოლა აღიჭურვა საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენმა მოსწავლეებმა არაერთ პროექტში მიიღეს მონაწილეობა. ამ პროექტებიდან გამოვარჩევ **STEM** პროგრამას, სადაც ჩართულნი არიან სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ტექნოპარკში ასევე მონაწილეობდნენ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის კერძო სკოლის მოსწავლეებიც. პროგრამის ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული სამყაროს როლი მეცნიერებაში. სურვილი გვაქვს რომ **STEM** პროექტში მოსწავლეთა ჩართულობა კიდევ უფრო გავზარდოთ და მოვიცვათ სკოლების დიდი ნაწილი.

წელს გაიხსნა სამთაწყაროს სკოლის ახალი შენობა, სულ მალე ჩაბარდება ოზაანის ახლადაშენებული სკოლა. უკვე ჩასხმულია ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი და ზემო ქედის პირველი სკოლის ახალი შენობების საძირკველი. ასე რომ, წელს ორი ახალი სკოლა შეგვემატა და კიდევ ორის ფუნდამენტი ჩაესხა.

— სოფელ სამრეკლოს სკოლის შენობის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი ვადა ამოიწურა, რომ განვავრცოთ ამ სკოლის ირგვლივ რა მოლოდინია, როდის შეძლებენ საკუთარ შენობაში დაბრუნებას?

— მოგეხსენებათ, მიმდინარეობს სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ალტერნატიულ ფართში, ქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში. რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადას, 2024 წლის ნოემბრის თვე მითითებული იყო საორიენტაციო ვადად. რეაბილიტაციის პროცესშია სკოლის მთლიანი ინფრასტქრუქტურა. გადაჭარბებული არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ სკოლა სრულიად, საფუძვლიანად და ხარისხიანად რეაბილიტირდება. ეზოში მოწყობილია გარე სასკოლო სპორტული მოედანი, ასევე მიმდინარეობს ეზოს მოასფალტების და მოპირკეთების სამუშაოები. პერიოდულად სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხრიდან ხორციელდება სკოლაში მონიტორინგი სამუშაოების შესრულების თაობაზე, ხარისხისა და ვადების დაცვის შესაბამისად. მათივე გადმოცემით, სამრეკლოს სკოლაში ამ ეტაპზე სწრაფი ტემპით გრძელდება სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სავარაუდოდ, ძალიან მალე დასრულდება. შესაბამისად, სამრეკლოს საჯარო სკოლას ექნება თანამედროვე სტანდარტებით, უახლესი ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლა.

„წელს ორი ახალი სკოლა შეგვემატა და კიდევ ორის მშენებლობა დაიწყო, იგეგმება არბოშიკის სკოლის მშენებლობაც“

— ასევე გაჭიანურდა ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი სკოლის მშენებლობა. ხომ არ დგება წინასწარ დაანონსებული ვადის დარღვევის საფრთხე და როდის მიიღებს ქალაქი ახალ სკოლას?

— ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი ნამდვილად დროში გაიწელა. ეს განპირობებული იყო სამშენებლო კომპანიის უპასუხისმგებლო მოპყრობით და დამოკიდებულებით, რადგან კომპანიამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები არ შეასრულა, მიატოვა პროცესი და ეს გახდა მიზეზი მშენებლობის გაჭიანურების. რა თქმა უნდა, საქმეში სამინისტროსთან ერთად ადგილობრივი თვითმართველობა ჩაერთო და მათი ძალისხმევით და დიდი დაინტერესებით ახალი სამშენებლო კომპანიის მიერ განახლდა სკოლის მშენებლობის პროცესი. მიმდინარე სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში ადევნებს თვალს და მონიტორინგს უწევს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. მათივე გადმოცემით, მშენებლობა უნდა დასრულდეს 2026 წელს. ცხადია, რთულია და კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს სასკოლო საზოგადოების, სამინისტროს, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ალტერნატიულ ფართში გადასული სკოლების მართვა და თითოეული რგოლი მაქსიმუმს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ სასწავლო პროცესი ხარისხიანად წარიმართოს. სულ მალე ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლას ექნება უმაღლესი სტანდარტებით, ტექნოლოგიებით, ლაბორატორიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლა.

— არბოშიკის სკოლის მშენებლობის საკითხი რატომ აგვიანებს?

— სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოება ამ ეტაპზე გადაყვანილია სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში და იქ აგრძელებს სასწავლო პროცესის წარმართვას. არბოშიკის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია/მშენებლობის პროცესის დაწყების საკითხი ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი საკითხია როგორც სამინისტროსთვის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. ფაქტობრივად სამინისტროს მხრიდან პროცესი უკვე დაგეგმილია და სულ მალე დაიწყება არბოშიკის სკოლის მშენებლობა/რეაბილიტაცია, რომელსაც განახორციელებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

— ბოლო ხანს სკოლაში გამოჩნდა სოციალური მუშაკი. რატომ დადგა დამატებითი მუშაკის საჭიროება?

— სწორი ბრძანდებით, სკოლაში გაჩნდნენ სოციალური მუშაკები, რომლებიც ჯანსაღი, პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფითა და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერით მოსწავლეებს სხვადასხვა სოციალური ბარიერის დაძლევაში დაეხმარებიან. აღნიშნული პროექტი 2021 წლიდან ფუნქციონირებს. რეგიონალური მომსახურების ფარგლებში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სასკოლო საზოგადოებას ემსახურებოდა რეგიონალური ცენტრი. მართლაც სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მოხდა ჩვენი მუნიციპალიტეტიდან კადრის გადამზადება აღნიშნული მიმართულებით და უკვე ჩვენს მოსწავლეებს მოემსახურებათ ადგილობრივი სოციალური მუშაკი-ნათია სვიმონიშვილი ეს არის კადრი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება მოზარდების მშობლებთან, მეურვეებთან ან კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის პროცესში, რომელიც მოიცავს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. სოციალური მუშაკი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ცნობიერების ასამაღლებლად, სკოლებსა და ოჯახებში, ბავშვებთან, მათ მშობლებთან, კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრებსაც გამართავს.

რაც შეეხება სპეციალურ მასწავლებელს, ის ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს და ხელს უწყობს მის ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე. წინასწარ განსაზღვრული განრიგით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მათ შორის რესურს ოთახში, ასევე ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს. შესაძლოა, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს რესურს ოთახით სარგებლობის საჭიროება, ანუ მოსწავლე არ საჭიროებდეს განრიგით მეცადინეობას რესურს ოთახში, ამ შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციებს და ახორციელებს მოსწავლის სწავლების მხარდაჭერას. სპეციალური მასწავლებელი მჭიდროდ თანამშრომლობს არა მარტო საგნის მასწავლებლებთან, არამედ მშობლებთან, კლასის დამრიგებლებთან. სპეციალურ მასწავლებელი ხელს უწყობს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას; **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლას ემსახურება სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. მაგალითად; ზემო მაჩხაანის და ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას ემსახურება 2 სპეციალური მასწავლებელი. ჯამში 15 საჯარო სკოლაში გვყავს, 17 სპეციალური მასწავლებელი, 15 ასისტენტი. რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მოსწავლეების რაოდენობას მათი რიცხვი 70-ია.** მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში ჩართულია მეტყველების თერაპევტი და ფსიქოლოგი.

— სასკოლო ტრანსპორტი რომელ სკოლებშია დანერგილი და თუ იგეგმება სხვა სკოლებისთვის ამ მომსახურების შეთავაზება?

— 2024-2025 სასწავლო წელსაც, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში, განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოქმედებს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს იმ მოსწავლეების გადაადგილებას, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სკოლიდან დაშორებულია არანაკლებ 2 კმ-ით. ასევე, პროგრამაში ჩაერთვნენ ის სკოლები, რომლებიც საჭიროებენ სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებს და საჭირო გახდა სკოლის მთლიანი კონტიგენტის გადაყვანა ახლომდებარე სკოლაში. ტრანსპორტი ემსახურება ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2, სოფელ სამრეკლოს, სოფელ არხილოსკალოს, სოფელ ქვემო ქედის, სოფელ არბოშიკის, სოფელ ზემო მაჩხაანის, სოფელ გამარჯვების და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლებს. ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია 761 მოსწავლე.

— პედაგოგთა კვალიფიკაციის გადამზადებისა და კარიერული წინსვლის კუთხით რა შეიცვალა ამ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პედაგოგის შრომა ნამდვილად დაფასებულია. სახელმწიფოს მხრიდან იგრძნობა მასწავლებლის მიმართ ხელშეწყობა სხვადასხვა რეფორმის სახით. დღეს, მასწავლებელს ყველა ბერკეტი აქვს საიმისოდ, რომ ის განვითარდეს. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გატარებულმა რეფორმებმა ნამდვილად გაამართლა, რაც დადებითად აისახა როგორც პედაგოგების პროფესიულ ზრდაზე, ასევე მათ შრომის ანაზღაურებაზე. მიმდინარე წელსაც არაერთი ჩვენი პედაგოგი გახდა სერტიფიცირებული საგნობრივი მიმართულებით, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს პედაგოგის მოტივაციას, იყოს წარმატებული, კვალიფიცირებული, რაც საბოლოოდ აისახება სწავლების ხარისხზე.

— სკოლების ნაწილში არ გამართულა დირექტორების არჩევნები, ხომ არ იგეგმება ახალი ეტაპის გამოცხადება?

— რაც შეეხება დირექტორების არჩევნებს, ამ ეტაპზე სამინისტროს მიერ არ დაანონსებულა მორიგი არჩევნების თარიღი, თუმცა ნებისმიერი გამოწვევისთვის მზაობას გამოვთქვამთ და მზად ვართ ჩავერთოთ ყველა პროცესში.

— სკოლების ნაწილმა ავტორიზაცია უკვე გაიარა. რომელი სკოლები დარჩა და რა მოლოდინია მომავალი წლისთვის?

— კარგად ვიცით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ავტორიზებული სკოლების არსებობა, რადგან ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, თითოეული სკოლის სასკოლო საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მათი სკოლის ავტორიზაცია. ავტორიზაციის გამოცხადების დღიდან ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულმა სკოლებმა გამოთქვეს მზაობა ჩართულიყვნენ პროცესში. ერთ-ერთი პირველი ავტორიზებული სკოლა გახდა პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა, შემდეგ ქ დედოფლისწყაროს №2, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ზემო ქედის №2 და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლები. ამ ეტაპზე პროცესში ჩასართავად ემზადებიან სოფელ სამთაწყაროს და ოზაანის საჯარო სკოლები. რაც შეეხება დანარჩენ სკოლებს, ვიცით რომ ასევე აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს რეაბილიტაცია/მშენებლობის პროცესი და სკოლები, რომლების იმყოფებიან ალტერნატიულ ფართში, ისინი საკუთარ შენობაში დაბრუნებისთანავე ჩაერთვებიან პროცესში. შენობის გარეშე მათი ავტორიზაციის შეფასება შეუძლებელია.

დასასრულს, დედოფლისწყაროს სასკოლო საზოგადოებას და სრულიად საქართველოს, თითოეულ მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს ვულოცავ ახალ 2025 წელს. თითოეულ მათგანს ვუსურვებ ულევ სიხარულს, სიკეთეს და წარმატებას! თქვენ, ყოველდღიური დაუღალავი შრომით და სწავლით მყარ საფუძველს ქმნით საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღისთვის და კეთილდღეობისთვის.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

„მუნიციპალიტეტის თანამედროვე ინფრასტრუქტურა მეტ ტურისტს მოიზიდავს “

2024 წელს აჯამებს ტურიზმის სექტორიც, რომელიც არსებულ ვითარებასა და გამოწვევებზე საუბრობს. დედოფლისწყაროში ტურიზმში ცართული ადამიანები გაზეთ „შირაქს“ საკუთარ შეფასებებს უზიარებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ არასტაბილური გარემო მათ მუშაობაზე უარყოფითად აისახება.

გოდერძი გონაშვილი ***(გონაშვილის მარანი):*** „თუ ტურისტი დედოფლისწყაროში მოდის, ჩვენს მარანსაც აუცილებლად სტუმრობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი მდებარეობის გამო რთულია ტურისტის მოზიდვა.

ადრე სტუმრებს ამ მომსახურებას მხოლოდ მე ვუწევდი, ამ ფორმატში რეგიონში კონკურენტი არ მყავდა და შესაბამისად მოთხოვნაც მეტი იყო. ახლა ბევრი მარანი გაიხსნა, უმეტესობა ცენტრალურ მაგისტრალზეა და უცხოელ სტუმრებს შორ მანძილზე სიარული და დროის კარგვა აღარ უღირთ. კახური სუფრის მასტერკლასს და ღვინის დეგუსტაციას იქვე გაივლიან, სადაც მოხვდებიან. ჩვენი რაიონი კი ჩიხია და თუ სპეციალურად არ ჩამოვიდა, გამვლელი, ან შემთხვევითი სტუმარი აქ ვერ მოხვდება. ამიტომაც 2024 წელს სტუმრების რაოდენობა შემცირდა.

ზოგადად იმ კატეგორიის სტუმარი ჩამოდის, ვისაც ქვევრი და ღვინო არ აინტერესებს და სხვა მოთხოვნები აქვს. თუმცა, დედოფლისწყარო ბოლო ხანს შესანიშნავად მოეწყო, ქალაქი ძალიან გალამაზდა და ეს იმედს მაძლევს, რომ თანამედროვე ინფრასტრუქტურა სამომავლოდ მეტ ტურისტს მოიზიდავს ჩვენს რაიონში. დედოფლისწყაროში ჩამოსული სტუმარი, რომელიც ჩემამდეც მოვა. ძირითადად სტუმრები მოდიან დაცული ტერიტორიებიდან, რომლებმაც ვაშლოვანის ნაკრძალი მოინახულეს. 2024 წელს სტუმრები ძირითადად პოლონეთიდან ჭარბობდნენ, თუმცა წინა წლებში პოლონელი ჯგუფები უფრო მეტი მყავდა ვიდრე ახლა. სხვათაშორის, საქართველოდანაც მრავლად მოდიან სტუმრები. 4-5 სკოლა იყო მოსული ქართული სუფრის მასტერკლასი გვქონდა და ამ მიმართულებასაც იმედიანად ვუყურებ და ვთვლი, რომ პერსპექტივა აქვს. უცხოელ სტუმრებს ჩვენი მომსახურების ფართო სპექტრი აინტერესებს, აქ შედის ქართული სამზარეულო, პურის თონეში ცხობა, თათარის მოდუღება, ჩურჩხელის გავლება, არყის გამოხდა და სხვა ტრადიციები. ეს დიდ ინტერესს იწვევს. შორეული ქვეყნებიდანაც გვსტუმრობენ ხოლმე, ფილიპინელები გვყავდნენ ფიჯიდან, გაცილებით ხშირად იაპონელები, ფინელები. სხვათაშრის ჩინეთიდანაც იყვნენ სტუმრები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩინელებს ქვევრი და ღვინო ნაკლებად აინტერესებთ, უფრო მარნის ეზოში ყვავილებით და ეგზოტიკით დაინტერესდნენ, მოინახულეს ჩემი ქათმები, კურდღლები, შინაური ცხოველები და ფრინველები უფრო იწვევდა მათ დაინტერესებას“.

ზოგადად, წელს მოსავალიც საშუალო იყო, უკმაყოფილო არ ვარ. სხვა მოქალაქეებმაც ჩამაბარეს ყურძენი და მათთვისაც ვამზადებ ხოლმე ღვინოს. მათ შორის იყო პოლონელი, რომელსაც ყარღაჯში აქვს ვენახი. წელს მან 3 300 კგ ყურძენი შემოიტანა და ჩემს მიერ დაყენებულ ღვინოს სიღნაღში სასტუმროში მოიხმარს.

დავით ალხანიშვილი ***(თეოს კოტეჯების დამფუძნებელი)***: „2024 წელი ჩვენი ბიზნესისთვის არაერთგვაროვანი იყო. სეზონი წარმატებით დაიწყო, აპრილი და მაისი გამოირჩეოდა ტურისტების სიმრავლით, შემდგომ კი სიტუაცია გაუარესდა. წლის პირველი ნახევარი კარგი იყო მშვიდი პოლიტიკური სიტუაციის გამო, ამიტომ სეზონი კარგად დაიწყო. ივნისის შემდგომ გაგვიუქმდა ბევრი ჯავშანი, რაც გამჭვირვალობის კანონის მიღებამ და შემდგომ დაწყებულმა საპროტესტო ტალღებმა გამოიწვია. ვინაიდან წლის პირველი ნახევარი წარმატებული იყო, სივრცის გაფართოება დავიწყეთ. თავდაპირველად სამი ხის სახლი და საბანკო კრედიტი და კიდევ ერთი სახლი დავამატეთ ორი საძინებლით, 4 ადამიანზე გათვლილი, და ასევე კიდევ ერთი ხის კოტეჯი ორი ადამიანისთვის.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ამ წელს ორი ახალი კოტეჯი შეგვემატა, 2024 წელი წინაზე უარესი აღმოჩნდა, სეზონიც მოკლე გამოდგა. არჩევნების შემდგომ მინიმუმამდე შემცირდა ვიზიტორთა რაოდენობდა და დეკემბერში საერთოდ განულდა, არ გვქონდა საახალწლო ჯავშნებიც. მოგახსენებთ, ჩვენთან ტურისტების 50-60 პროცენტი გვსტუმრობენ ნიდერლანდებიდან და გერმანიიდან. ასევე გვსტუმრობენ ბელგიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, უმეტესი ნაწილი ამ ქვეყნებიდანაა. თუმცა, გართულებული საგარეო ურთიერთობის გამო შარშანდელი წინასაახალწლო პერიოდისგან განსხვავებით 2025 წლის ჯავშნები საერთოდ არ გვაქვს. შარშანდელი სეზონის შემდეგ იმედი გვქონდა, რომ მეტი ტურისტი შემოვიდოდა, რაც არ გამართლდა. ნაკადები საგრძნობლად შემცირდა.

ილია მარტყოფლიშვილი

რა როლს თამაშობს საქართველო კავკასიის ეკონომიკურ ზრდაში

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise კავკასიის ეკონომიკური ზრდის მიმოხილვას აქვეყნებს.

მიმოხილვის თანახმად, 2024 წლის პირველ ნახევარში კავკასიის ეკონომიკა 6.9%-ით გაიზარდა, რაშიც ყველაზე მაღალი კონტრიბუცია აქვს აზერბაიჯანს, ხოლო ყველაზე დაბალი - სომხეთს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში რეგიონის ზრდა 4.7% იყო.

„კავკასიის ეკონომიკურ ზრდაში, აზერბაიჯანის შემდეგ, მაღალი კონტრიბუცია - 2.4 პროცენტული პუნქტი - საქართველოს აქვს. საქართველო რეგიონში გამოირჩევა მაღალი ეკონომიკური ზრდით, რაც გამოწვეულია რუსეთ-უკრაინის ომისა და მონეტარული პოლიტიკის ეფექტით. 2024 წლის პირველ ნახევარში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 9.2%-ით გაიზარდა.

მიმდინარე პერიოდის ზრდაში წამყვანი როლი მომსახურების სექტორს უჭირავს. მაგალითად, ვაჭრობა, რომელიც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 8.9%-ით გაიზარდა, მთლიანი ეკონომიკის 14%-ია, ხოლო სტუმარმასპინძლობის სექტორის ზრდამ 14.3% შეადგინა. ამ უკანასკნელის წილი კი შედარებით მოკრძალებულია, რადგან მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 3.5%-ს იკავებს. ორივე სექტორის დაკრედიტება მკვეთრად გაზრდილია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ სექტორებში დაკრედიტების ტემპი საშუალოდ 23.2%-ია, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი საშუალოდ 4.4%-იანი კლებით ხასიათდებოდა.

ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია სატრანსპორტო სექტორი, რომლის წილი 9.8%-ია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღნიშნული სექტორი 11%-ით გაიზარდა, ხოლო ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფერო, რომლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 7.2%-ს აღწევს - 16.2%-ით. ამ სექტორებში დაკრედიტების დინამიკა მაღალია. 2024 წლის პირველ ნახევარში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში სესხების წლიური ზრდა საშუალოდ 27.1%-ია, ხოლო 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში საშუალოდ 14.6% იყო.

მსგავსად აზერბაიჯანისა, საქართველოშიც დაკრედიტება აჩქარებულია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ზრდის ტემპი საშუალოდ 19%-ია, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში კი საშუალოდ 4.5% იყო. დაკრედიტების ზრდა ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის მკვეთრ შემსუბუქებას უკავშირდება. 2023 წლიდან ცენტრალურმა ბანკმა, თითქმის ყველა ინსტრუმენტით, ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარება დაიწყო, რისთვისაც სახაზინო ფასიანი ქაღალდების ყიდვას, სავალუტო ინტერვენციებსა და რეფინანსირებას იყენებდა. ეროვნული ბანკი 2023 წლიდან ამცირებს მონეტარული პოლიტიკის 11%-იან განაკვეთს, რომელიც ამ პერიოდისთვის 8%-იან ნიშნულზეა. ამასთან, ინფლაციის მრუდი აღმავალი გახდა“, - აღნიშნულია მიმოხილვაში

„საქართველოში ტურისტული აქტივობა არ შენელებულა“ – ლევან დავითაშვილი

„ჩვენი მოლოდინია, რომ დაახლოებით 9%-იანი ეკონომიკური ზრდა შეიძლება გვქონდეს 2024 წელს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია“, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა. როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, ძალიან ცოტა ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც არა ნომინალური, არამედ რეალური მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება მოახერხა ოთხი წლის განმავლობაში, რომელიც თითქმის ორნიშნა მაჩვენებლით არის გამოხატული.

„მომავალი წლის ეკონომიკა კონსერვატიულად გვაქვს დაგეგმილი - ასე ვგეგმავთ ხოლმე ყოველ წელს, რადგან რთულ რეგიონში ვცხოვრობთ, ბევრი გაუთვალისწინებელი ფაქტორია, რომლებიც შეიძლება რეალიზდეს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით. აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკური პარამეტრები ყოველთვის უფრო კონსერვატიულად იგეგმება. მათ შორის, 2025 წელსაც ეკონომიკურ ზრდას 6 პროცენტს ვფიქრობთ, დაახლოებით, 5.5 პროცენტზეა დაგეგმილი, დარწმუნებულები ვართ, რომ ამ მაჩვენებელს მივაღწევთ“, - აღნიშნა დავითაშვილმა.

ითხვაზე, თუ რა ვითარებაა ტურიზმის სექტორში და რა მოლოდინები აქვს ხელისუფლებას, ეკონომიკის მინისტრმა განმარტა, რომ ბოლო თვეებში თბილისის გარკვეულ უბნებში არსებული დემონსტრაციების გამო კონკრეტულ ტურისტულ ობიექტებზე ნეგატიურად აისახა პროცესები, თუმცა, მთლიანად საქართველოში ტურისტული აქტივობა არ შენელებულა.

„ახლაც ვაკეთებთ კვლევას და მთლიანად საქართველოში ტურისტული აქტივობა არ შენელებულა, მათ შორის, საკმაოდ მაღალია ბათუმში, თუ გასული წლის შესაბამის თვეებთან შევადარებთ. ასევე მაღალია აქტივობა მთის კურორტებზეც - ჯავშნები მაღალ პროცენტზეა. ვთვლით, რომ 2025 წელსაც ტურისტული სექტორი შეინარჩუნებს ზრდას და იმ საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლებიც, მათ შორის, ტურიზმის კუთხით გვქონდა, მომავალ წელსაც შევასრულებთ - შეიძლება გარკვეულ თვეებში იყოს გარკვეული მერყეობა, მაგრამ წლიურ ჭრილში დაგეგმილ მაჩვენებლებს აუცილებლად მივაღწევთ“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

რა თანხა შევიდა ბიუჯეტში საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტებიდან

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ბიუჯეტის დაფინანსება შემცირდა. კერძოდ, 2024 წლის იანვარ-ნოემბერში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს ბიუჯეტში შემოსავალმა 163.009 მლნ ლარი შეადგინა, რაც 427 ათასი ლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე) მიხედვით, 2023 წლის 11 თვეში ეს მაჩვენებელი 163.436 მლნ ლარს შეადგენდა.

ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მიხედვით, 2024 წლის იანვარ-ნოემბერში 419 ათასი ლარით შემცირებულია უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტების მოცულობაც. აღნიშნული თანხა 2024 წლის იანვარ-ნოემბერში 8.348 მლნ ლარი იყო, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 8.767 მლნ ლარი.

ფინანსთა სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, წელს გრანტების საერთო მოცულობა 385 მლნ ლარით არის გაზრდილი და 1.626 მლრდ ლარს შეადგენს, მაშინ, როდესაც წინა წელს 1.241 მლრდ ლარს შეადგენდა. ეს კი სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული დაფინანსების ხარჯზე მოხდა. უფრო დეტალურად, შარშან სხვა დონის სახელმწიფო გრანტებით ბიუჯეტში 1.069 მლრდ ლარი შევიდა, წელს კი 1.455 მლრდ ლარი.

ასტრო პროგნოზი 2025 წლისთვის“

პროგნოზი ქალებისთვის

გველის წელი ქალებს მოუტანს სწრაფ ზრდას ცხოვრების რამოდენიმე სფეროში ერთდროულად, ასევე მისცემს საკუთარი თავის შეცნობის შესაძლებლობას.

პირად ცხოვრებაში, ეს პერიოდი იქნება მყარი და მშვიდი. ქალები მიდრეკილი იქნებიან ძლიერი და გრძელვადიანი ურთიერთობების შექმნისკენ, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე. შესაძლოა, ზოგიერთმა წყვილმა ურთიერთობა გააოფიციალუროს ან შვილების გაჩენის გადაწყვეტილება მიიღოს. ამიტომ, დასახული მიზნების უფრო სწრაფად მისაღწევად, საჭიროა საყვარელი ადამიანის მეტად გაგება, მოსმენა და შეთანხმებული გადაწყვეტილელბების მიღება.

თუმცა, გველის წელს, ქალებისთვის მოსალოდნელია გარკვეული სირთულეები და გამოცდებიც. კონფლიქტი და გაუგებრობა ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან. ასევე, მზად უნდა იყოთ ფინანსური პრობლემებისთვის, გაუთვალისწინებელი ხარჯების და სხვადასხვა სერიოზული სიტუაციების გამო. მნიშვნელოვანია სიმშვიდის და ოპტიმიზმის შენარჩუნება, ასევე, შემოსავლის ალტერნატიული ვარიანტების მოძიება.

მთლიანობაში, გველის წელი ქალებისთვის იქნება დინამიური და პროდუქტიული, თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ამბიციების დაბალანსებას შინაგან სამყაროსთან და ახლობლებთან ურთიერთობაში.

იმისათვის, რომ გველის წელს სწორად შევხვდეთ, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

ფერთა გამა: მისაღებია მწვანე, ყავისფერი და შავი ფერების გამა. ისინი წარმოადგენს სიბრძნის და სიმშვიდის სიმბოლოს, რაც გველს ახასიათებს.

მასალები: ნატურალური ქსოვილი, როგორიცაა: ჭილობი, ბამბა და შალი. გარდა ამისა, რეკომენდირებულია ხის, როგორც აქსესუარების და დეკორის მასალად გამოყენება.

აქსესუარები: ბუნებრივი ქვისგან დამზადებული ნაკეთობები, როგორიცაა: ნეფრიტი, ზურმუხტი და მალაქიტი. ეს ქვები ითვლება გველის წლისთვის ყველაზე შესაფერისად.

დეკორი: სახლის მორთვა შესაძლებელია გველის ფიგურებით, ნახატით და ა.შ. ასევე, კარგი იქნება პატარა ზომის გველის ქანდაკებების ან ტექსტილზე მისი პრინტის გამოყენება.

ტანსაცმელი: სასურველია ელეგანტური და მოკრძალებული სამოსის შერჩევა, რომელიც ხაზს გაუსვამს თქვენს ინდივიდუალურობას. მოერიდეთ მყვირალა და ღია ფერებს, რათა არ გააღიზიანოთ გველი და მისი ყურადღება ზედმეტად არ მიიპყროთ.

კერძები: სადღესასწაულო სუფრაზე უნდა იყოს მრავალფეროვანი კერძები. რეკომენდირებულია მენიუში ფრინველის, საქონლის და ცხვრის ხორცი, ასევე თევზი და ზღვის პროდუქტები. ბოსტნეულის მომზადება კარგი იქნება გრილზე ან ღუმელში. არ დაგავიწყდეთ ხილი და ტკბილეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეკომენდაციები არის ზოგადი და შეიძლება ვარირებდეს კულტურული ტრადიციების ან პირადი არჩევანის მიხედვით.

მთავარია – გველის წელს შეხვდეთ კარგი განწყობით და პოზიტიური ფიქრებით.

პროგნოზი მამაკაცებისთვის

მამაკაცებს ეს პერიოდი პირდებათ იყოს მშვიდი და სტაბილური. ის წარმატებული იქნება მათთვის, ვინც ისწრაფვის ურთიერთობებში წონასწორობისკენ და შეუძლია კომპრომისების ნახვა. ამ წელს, მამაკაცები მეტ ყურადღებას გამოიჩენენ თვითგანვითარების და ახალი ცოდნის შეძენის მიმართ.

სამუშაოსა და კარიერის მხრივ, გველი მამაკაცებს დაასაჩუქრებს ახალი შესაძლებლობებით. თუმცა, წარმატების მისაღწევად, აუცილებელი იქნება მოთმინების გამოჩენა, შეუპოვრობა და ცვლილებებთან ადაპტაციის უნარი.

2025 წელს, მამაკაცებისთვის ასევე დიდი ყურადღების დათმობა იქნება საჭირო საკუთარი მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის. რეგულარული ფიზიკური დატვირთვა, სწორი კვება და საკმარისი დასვენება გახდება კარგი განწყობის, თავდაჯერებულობის და ძალების აღდგენის საფუძველი. კარგი იქნება სპორტის ახალი სახეობების და ახალი ჰობის მოსინჯვა, რაც დადებით გავლენას მოახდენს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე. მენტალური ჯანმრთელობისთვის კარგია მოტორიკის განვითარება და ხელსაქმის კეთება, მაგალითად: მიწასთან დაკავშირებული საქმის შესრულება, ბაღის მოვლა, შეშის დახერხვა და ა.შ.

იმოქმედეთ ბრძნულად და მოქნილად. გველი არის ცვლილებების სიმბოლო, ამიტომ, მოემზადეთ ახალ პირობებთან ადაპტაციისთვის. ეცადეთ შეინარჩუნოთ შინაგანი წონასწორობა და ბალანსი ცხოვრების ყველა ასპექტში და მაშინ, ეს წელი მოგიტანთ წარმატებას და ბევრ დადებით მომენტს.

წლის ტრაგიკული ამბების ქრონიკა

კიდევ ერთი წელი მიილია. დადებით მოვლენებთან ერთად ამ წელს ტრაგიკული მოვლენებიც ახლდა. ჩვენი რედაქცია, როგორც დედოფლისწყაროს მემატიანე, კვლავაც გთავაზობთ გაზეთ „შირაქის“ არქივში დაცულ 2024 წლის მძიმე ამბების ქრონიკას, რითაც ამ წელმა თავი დაგვამახსოვრა.

○ 1 თებერვალს დედოფლისწყაროს სოფელ თავწყაროში მცხოვრები 36 წლის ზურა წიკლაური რუსეთ-უკრაინის ომს ემსხვერპლა. მებრძოლი უკრაინაში მოქმედ ქართულ ლეგიონში ათი წლის განმავლობაში ირიცხებოდა. თანამებრძოლების ცნობით აღმოსავლეთის ფრონტზე ჭურვის აფეთქების შედეგად ორი ქართველი დაიღუპა, მათ შორის ზურა წიკლაური. 5 თებერვალს მებრძოლი დედოფლისწყაროში, სოფელ თავწყაროს სასაფლაოზე სამხედრო წესით დაკრძალეს.

○ 7 თებერვალს ტრაგიკულად დაიღუპა სოფელ ოზაანში მცხოვრები 48 წლის მამაკაცი. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას „ენერგო პრო ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ელექტრიკოსი შალვა ხატიაშვილი გარდაიცვალა. თვითმხილველების ცნობით ელექტრობოძი, რომელზეც მამაკაცი იყო ასული მოულოდნელად გადატყდა, ჩამოვარდა და ზედ დაეცა. სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმების გამო მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. უბედური შემთხვევა იმერეთში მოხდა. სტიქიის შედეგად დაზარალებულ იმერეთის რეგიონში ელექტროენერგიის აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად რეგიონებიდან დამატებითი ჯგუფები გაიგზავნა, მათ შორის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის 4 სპეციალისტი. გარდაცვლილს მეუღლე და სამი შვილი დარჩა. კომპანიაში განმარტეს, რომ მომხდარს შეისწავლიდნენ. მოკვლევა დაიწყო შსს-მაც.

○ 18 მარტს დედოფლისწყაროში სოფელ სამრეკლოს მიმდებარედ ცენტრალურ მაგისტრალზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სოფელ სამთაწყაროს სკოლის პედაგოგის სიცოცხლე ემსხვერპლა. იმ დღეს წვიმდა და ნისლიანი ამინდი იყო, 43 წლის მაია საკანელაშვილი დედოფლისწყაროდან სამთაწყაროში ბრუნდებოდა, რა დროსაც მანქანა მოცურდა და ხეს შეეჯახა. მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. დაშავდა 7 წლის გოგონა, რომელიც პედაგოგს მინდობით აღზრდით ჰყავდა აყვანილი და შემთხვევის დროს თან ახლდა. მოზარდი ქალა-ტვინის ტრავმით კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟმა თბილისში გადაიყვანა.

○ 29 მარტს ღამით სოფელ სამთაწყაროში აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლთან მდინარე „ალაზანში“ 64 წლის კაცი ჩავარდა, რომელიც დინებამ გაიტაცა და დაიკარგა. ცხედარის პოვნა სამაშველო სამსახურმა მეორე დღეს შეძლო. გარდაცვლილია ქვემო ქედის მკვიდრი დიმიტრი კოტორაშვილი, რომელიც სავარაუდოდ, სათევზაოდ იმყოფებოდა.

○ 16 აპრილს შემზარავი ტრაგედია მოხდა ქოჩების ტბისკენ მიმავალ მაგისტრალზე. ტრაქტორს მისაბმელი გაეხსნა და საპირისპიროდ მოძრავ მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. შესაწამლი აპარატის ფრთა მოულოდნელად გაიხსნა, რომელიც ქედის მიმართულებით მიმავალ მგზავრებს მოხვდა. შეჯახების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ 37 და 35 წლის და-ძმა თამუნა და ვალერ ფრიდონაშვილები. საჭეს მამაკაცი მართავდა, მძღოლის გვერდით მჯდომი მისი მეუღლე კი გადარჩა. უბედური შემთხვევა ქოჩების ტბის მიმდებარედ მოხდა. ახალგაზრდები ზემო ქედში ბებიის მოსანახულებლად მიემგზავრებოდნენ. მომხდარზე გამოძიება შს დედოფლისწყაროს სამმართველომ დაიწყო.

○ 12 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროს მიკრორაიონის დასახლებაში 52 წლის ქვეითად მოსიარულე ქალს ავტომანქანა დაეჯახა. დაშავებული ორ დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა. ოჯახი ამბობს, რომ მანქანა უკუსვლით დაეჯახა. ოთხი შვილის დედა ნათელა ხასმამედოვა კომატოზურ მდგომარეობაში გურჯაანის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იყო მოთავსებული, თუმცა სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმების გამო მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

○ 10 სექტემბერს სამკვირიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა 15 წლის სამრეკლოელი გოგონა, რომელიც დედოფლისწყაროს ცენტრალურ სკვერში ხელოვნურ ტბაში თამაშისას გაითიშა. მცდარია გავრცელებული ხმები, თითქოს მოზარდს დენმა დაარტყა.

○ 16 სექტემბერს ქვემო ქედში ერთ-ერთ ვენახში 38 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილი მამაკაცი საკუთარ ავტომობილში ნახეს. როგორც გაირკვა, საღამოს ის მეგობრებთან ერთად რთველში იმყოფებოდა და ძებნა მას შემდეგ დაიწყეს, რაც სახლში აღარ დაბრუნებულა. მამაკაცი მოხუც მამასთან ერთად ცხოვრობდა და გულის პრობლემები აწუხებდა, ამიტომაც ახლობლებს მის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით ეჭვები არ ჰქონიათ.

○ 24 სექტემბერს სექტემბერს სოფელ გამარჯვებაში ოთხშვილიან ოჯახში წლისა და 7 თვის გოგონა გარდაიცვალა. ოჯახში ამბობდნენ, რომ ჩვილი ძილში გარდაიცვალა და მას ჯანმრთელობის პრობლემები არ ჰქონია. გოგონა ჯერ სოფლის ექიმთან წაიყვანეს, შემდეგ სასწრაფო გამოიძახეს, თუმცა სასწრაფოს არ დაელოდნენ და კლინიკაში თავად გადაიყვანეს. იყო თუ არა მისი გარდაცვალების მიზეზი ასფიქსია, ამას დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ვერ აკონკრეტებენ. მთავარი ექიმის, ხათუნა აგლაძის განმარტებით, სტაციონარში ჩვილი უკვე გარდაცვლილი შეიყვანეს, ოჯახმა ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი თქვა, ამდენად მედიკოსები გადაჭრით ვერაფერს ამბობენ.

○ 2 ოქტომბერს სოფელ გამარჯვებაში 32 წლის კაცი საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს. სოფელში ამბობენ, რომ ცხედართან ერთად სანადირო თოფიც ნახეს, ამიტომ გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა წმენდის დროს შემთხვევით გაუვარდა. იარაღი მის სახელზე იყო რეგისტრირებული.

ილია მარტყოფლიშვილი

საახალწლო გალა-კონცერტი

სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად 30 დეკემბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში ტრადიციულად საახალწლო გალა-კონცერტი გაიმართა. ბავშვთა გასართობი ღონისძიებები 14 საათიდან დაიწყო. პროგრამის ფარგლებში მოეწყო საშობაო ბაზრობა, გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო გასართობი სივრცეები. პატარების განწყობაზე ზღაპრის გმირები ზრუნავდნენ.

საახალწლო ეზოში ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა შედგა. წარმოდგენილი იყო სასმელების კუთხე: გლინტვეინი, ცხელი შოკოლადი, კაკაო; ასევე, კვების კუთხე: კრეპი, ბელგიური ვაფლი, საშობაო ორცხობილა, ბურგერი, სენდვიჩი, ჰოთ-დოგი. ამას გარდა ადგილზე მოეწყო საბავშვო ზონა-სახელოსნო სადაც საახალწლო ხელნაკეთი ნივთების დამზადება ხდებოდა, სტუმრებს შესთავაზეს სახის მოხატვა.

მაყურებლის ოვაციები გამოიწვია გრძელი ბუშტებისგან სხვადასხვა ფიგურების დამზადებამ და ანიმატორების საბავშვო პროგრამამ. განსაკუთრებული რიგები იყო თოვლის პაპას კუთხესთან, სადაც ლაპლანდიიდან ჩამოსული სანტა ბავშვებს ტკბილეულით ასაჩუქრებდა. საახალწლო გმირებთან და თოვლის პაპასთან ბავშვების შეხვედრა, საჩუქრების (ტკბილეულის) დარიგება დაღამებამდე გაგრძელდა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით დედოფლისწყაროს მერმა, **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** მიმართა: „ჩვენი დღევანდელი საღამო, ასეთი ლამაზი დღესასწაული ორგანიზებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ვაცილებთ 2024 წელს, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის და ქვეყნისთვის სირთულეებით აღსავსე, მაგრამ ძალიან კარგი წელი აღმოჩნდა. კარგი იყო იმიტომ, რომ საარჩევნო წელს ღირსეულად გავიმარჯვეთ დედოფლისწყაროში და მშვიდად ჩავატარეთ ეს პროცესი. კარგი იყო იმიტომ, რომ ჩვენმა საამაყო

დედოფლისწყაროელმა, ოქროს ბიჭმა ჩვენმა ლაშა ბექაურმა ორჯერ მოიგო ოლიმპიური ოქრო. კარგი იყო იმიტომ, რომ პირველი სპორტული ვარსკვლავი გაიხსნა დედოფლისწყაროში, სპორტის ცენტრის შენობის წინ, წლევანდელი წელი გამორჩეული იყო ჩვენთვის იმითაც, რომ პირველად დედოფლისწყაროს ისტორიაში, კახეთში ყველაზე დიდი პარკი - დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკი გავხსენით, რომელიც დამეთანხმებით, წლებია თითოეული ჩვენგანისთვის სანატრელი და საოცნებო იყო. ჩვენ არ გვქონდა შეკრების ადგილი და მივიღეთ ულამაზესი პარკი. ეს წლევანდელმა წელმა მოგვიტანა. ასევე გაიხსნა ლაშა ბექაურის სახელობის სპორტული დარბაზი არხილოსკალოში, სადაც 130-მდე ბავშვი ვარჯიშობს და მომავალი ჩემპიონები გვეზრდებიან. კიდევ უამრავი რამ გაკეთდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ერიანობით დედოფლისწყარო ყოველწლიურად ლამაზდება უკეთესი ხდება და ჩვენი შვილებისთვის ვცდილობთ, შევქმნათ უკეთესი მომავალი. მადლობა 2024 წელს და 2025 წელს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ულამაზეს კახეთს ვუსურვებ მშვიდობას, განვითარებას, წინსვლას, წარმატებას. ხვავი, ბარაქა და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს თითოეული ქართველის ოჯახს“.

დღე დაასრულა „თეატრალური კვარტეტისა“ და „გუფი ლენდის“ კონცერტმა, რის შემდეგაც ფოიერვერკი გაიმართა.

როგორი იქნება 2025 წელი

2025 წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით მწვანე ხის გველის წელია. ჩინეთში გველებს პატარა დრაკონებს უწოდებენ და ისინი სიბრძნესთან, ელეგანტურობასა და ტრანსფორმაციასთან ასოცირდება. როგორც ცნობილია, აღმოსავლური კალენდრით ყოველი წელი ჩინური ზოდიაქური წრის 12 ცხოველიდან ერთ-ერთს შეესაბამება, რომელიც, თავის მხრივ, ასოცირდება ხუთი ელემენტიდან ერთ-ერთთან: ოქრო, ხე, წყალი, ცეცხლი ან მიწა. საერთო ჯამში 60 სხვადასხვა კომბინაცია მიიღება, ამიტომ სრული ციკლი 60 წელიწადში სრულდება და ყოველ 60 წელში ერთხელ თავიდან იწყება.

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, გველის წელი დადგება 2025 წლის 10 თებერვალს და გაგრძელდება 2026 წლის 29 იანვრამდე. ეს იქნება მწვანე ხის გველის წელი, რომელიც არის სიბრძნის, მოქნილობის, ინტელექტის და შრომისმოყვარეობის სიმბოლო. გველი მოგვიტანს ფუნდამენტურ ცვლილებებს და ტრანფორმაციას. აღნიშნული წელი გახდება ჭეშმარიტი გზების ძიების პერიოდი, განსაკუთრებით პირად ურთიერთობებსა და კარიერაში.

ინტუიციისა და შინაგანი ხმის მნიშვნელობა განსაკუთრებული სიმძაფრით იქნება შეგრძნებადი. ადამიანები მიდრეკილნი იქნებიან ჰარმონიისა და ურთიერთგაგებისკენ, რაც ბევრს უბიძგებს არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღებისკენ. მათთვის, ვინც მზად არის გამოწვევა მიიღოს და შეისწავლოს და შეიმეცნოს ყველაფერი ახალი და უცნობი, გველის წელი გაუხსნით ახალ ჰორიზონტებს და შესაძლებლობებს.

და პირველი და უმთავრესი წესი 2025 წლისთვის, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დროს — ესაა სამყაროს წონასწორობის კანონების დაცვა, შინაგანი ჰარმონიის შენარჩუნება, სიკეთის ქმნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გექნებათ ვარსკვლავების „წყალობა“ — მოგეცემათ არჩევანის საშუალება და შესაძლებლობაც, რომ ცხოვრება უკეთესი გახადოთ!

წლის ნიშნის გამორჩეული თვისებაა ბასრი, შხამიანი ენა. იზრუნეთ საყვარელ ადამიანებზე, ყოველთვის დაფიქრდით, სანამ ცხელ გულზე გესლიან სიტყვას იტყვით — მას ჩვეულებრივზე გაცილებით მტკივნეულად აღიქვამენ.

გველის წელი, თუნდაც ხის, კონფლიქტურად ითვლება. ეს ყველაფერი გველების დაუცველობისა და მათი მაღალი თვითშეფასების გამოა. შეეცადეთ, არ დაუპირისპირდეთ მეგობრებს, გაუფრთხილდით როგორც თქვენს, ისე სხვებს პირად საზღვრებს.

კარგი ნიშანია ახალი წლის ღამეს „მონოპოლიით“, პოკერით ან ფულთან დაკავშირებული სხვა თამაშით თავის შექცევა. გველს უყვარს მონეტების ხმა და მზადაა, დაეხმაროს მათ, ვისაც გამდიდრება სურს.

მწვანე ხის გველის წელი იმედებს არ გაგვიცრუებს და დიდ ცვლილებებს გვპირდება. ის ხელახლა დაბადებას ტყუილად როდი განასახიერებს. ქვეწარმავალი ტყავს იცვლის და გვახსენებს, რომ ცვლილება ყოველთვის ჩვენში იწყება.

„2024 წლის საუკეთესო ადამიანები“ გამოვლინდნენ

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“-ს (საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვახუშტი ქიზიყურაშვილი) მიერ ინტელიგენციის ტრადიციული ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად საქართველოს მასშტაბით 2024 წლის საუკეთესო ადამიანად დასახელდნენ:

გიორგი ბუგიანიშვილი *(ბორჯომის ანსამბლის ხელმძღვანელი),*

გიორგი კალანდია *(ეროვნული ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი),*

გიორგი ნატროშვილი *(დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“ თავმჯდომარე),*

გიორგი შავერზაშვილი *(საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე).*

ნომინანტების დაჯილდოვება გაიმართება 2025 წლის მაისში.

ი ყ ი დ ე ბ ა !

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი